ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge



გვ.5

### ლავას ოღლი საქართველოს და თურქეთს სტრასბურგში უჩივლებს

### თბილისში ლიბერთი ბანკს თავს დაესხნენ



გვ.5

3 მარტიდან

ვასილ ბარნოვი

ტრფობა ნამებული

საქართველოს ისტორია ქართულ ლიტერატურაში

ტომი I

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი




სამშაბათი, 3 მარტი, 2020

№52 (8316)

ფასი: 60 თეთრი

# „პოლიტპატიმრების გამოშვების გარეშე „ოცნებასთან“ მოლაპარაკება გამორიცხულია“



გვ.3

## გიორგი ვაშაძე: „არჩევნები ალბათ ძველი სისტემით ჩატარდება“






გვ.4

## გიორგი გუგავა: „ოცნებას“ არსებული სისტემის გაუარესება უნდა, რათა არჩევნები კვლავ გააყალბონ“

სანამ რეჟიმს ჰყავს პოლიტპატიმრები, სიტუაცია ვერ განიმუხტება, მაგრამ თუ 120/30-ზე დათანხმდებიან, ჩვენც დავუჭერთ მხარს“

## ანრი ოხანაშვილი: „უგულავას გამოშვებას საარჩევნო სისტემაზე შეთანხმებას ვერ დავუკავშირებთ“



გვ.2

## გია ჟორჟოლიანი: „ჩვენ ვითხოვდით 115/35-ზე და ბარიერის გაუქმებას“

„ყველაფერი მაისის ბოლოს გადაწყდება“



გვ.3

## განათლების მინისტრის მოადგილე ირინა აბულაძე გადადგა



გვ.3

„ყოფილ მინისტრ მიხეილ ბატიაშვილს დიდ მადლობას ვუხდი“




გვ.2

## „ეს არჩევნები არის ახალი დიდგორი საქართველოში“

სააკაშვილმა თბილისში შტაბი გახსნა

ISSN 1987-9385

4 სახელმწიფომ ლევან გაჩეჩილაძის ღვინის კომპანია 7 მილიონი ლარით დააფინანსა

2 „ვილაცამ მხარზე დამადო ხელი, მოვიხედე და შოთა გორგოძე მიყურებს“ საქართველოს ყოფილი შს მინისტრი 87 წლის ასაკში გარდაიცვალა

5 თბილისში პატრულის დაჭრისთვის 2 პირი ქუთაისში დააკავეს

6 სამხრეთ კორეაში კორონავირუსის გავრცელებას რელიგიურ ჯგუფს აბრალებენ

# ანრი ოხანაშვილი: „უგულავას გამოშვებას საარჩევნო სისტემაზე შეთანხმებას ვერ დავუკავშირებთ“

– თუ ახლა ოპოზიცია საუბრობს იმაზე, რომ შეთანხმების უპირობო საფუძველი მსჯავრდებულ უგულავას გათავისუფლებაა, მაშინ ძალიან მძიმე გამოვლინებასთან გვაქვს საქმე.

ამის შესახებ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილმა განაცხადა, რითაც უპასუხა ჟურნალისტების კითხვას, რომლის თანახმად, ოპოზიციის ნაწილი 130/20 მოდელზე შეთანხმების შემთხვევაში, პოლიტპატიმრების საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნას ელოდება.

ოხანაშვილის განცხადებით, სირცხვილია, რომ საარჩევნო სისტემაზე მოლაპარაკების დროს ოპოზიციის გარკვეული ჯგუფი ამ საკითხით ვაჭრობდეს.

– ბატონ უგულავას სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უზენაეს სასამართლოში არ აქვს გასაჩივრებული. თუკი ადამიანი განაჩენს არ ასაჩივრებს, გამოდის, რომ ეთანხმება ამ განაჩენში დაფიქსირებულ მსჯავრდებას.

თუ ახლა ოპოზიცია საუბრობს იმაზე, რომ შეთანხმების უპირობო საფუძველი მსჯავრდებული უგულავას გათავისუფლებაა, მაშინ ძალიან მძიმე გამოვლინებასთან გვაქვს საქმე, ვინაიდან, არ შეიძლება, საარჩევნო სისტემაზე საუბარი მსჯავრდებულის გათავისუფლება/არგათავისუფლებასთან მიმართებით მიმდინარეობდეს.



ერთხელ და სამუდამოდ უნდა მივეჩვიოთ, რომ ვცხოვრობთ დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოში, სადაც პირის მსჯავრდების თუ გამართლების შესახებ გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს.

ამას თვალს ადევნებენ ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები და სირცხვილია, რომ საარჩევნო სისტემაზე მოლაპარაკების დროს ოპოზიციის გარკვეული ჯგუფი ვინმე მსჯავრდებულის გათავისუფლებით ვაჭრობდეს, – განაცხადა ანრი ოხანაშვილმა.

ოხანაშვილის განცხადებით, მმართველი გუნდის მიერ შეთავაზებული საარჩევნო სისტემის ახალი მოდელი ოპოზიციას პარლამენტში მეტი პროპორციით შესვლის შესაძლებლობას აძლევს.

– აქამდე საუბარი იყო იმაზე, რომ შეთანხმების საფუძველი გახდებოდა პროპორციულ სისტემასთან მაქსიმალურად მიახლოებული მოდელი. ჩვენ მიერ შეთავაზებული მოდელი ყველანაირად სამართლიანი და ჩვენი ქვეყნის ინტერესებზე მორგებულია. ეს მოდელი ოპოზიციურ ჯგუფებს აძლევს შესაძლებლობას, მეტი პროპორციით შემოვიდნენ საქართველოს პარლამენტში. თუ ვინმეს იმედი არ აქვს, რომ საერთოდ შეძლებს არჩევნებში გამარჯვებას და ამის გამო წინმსწრებად თავს იზღვევს, რომ შეთანხმება არ სურს, ეს არის იმ გაკოტრებული პოლიტიკური ჯგუფების პრობლემა, ვისაც საზოგადოების მხარდაჭერა არ აქვს.

ყველამ ვიცით, რომ ნაციონალური მოძრაობა და მისი განშტოება „ევროპული საქართველოს“ სახელით, წინასაარჩევნო კამპანიას საზღვარგარეთ აწარმოებენ იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში მათ საზოგადოების მხარდაჭერა არ გააჩნიათ, – განაცხადა ოხანაშვილმა.

* * *

– შეთანხმების მიღწევა ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის პრინციპულად მნიშვნელოვანია ქვეყნის დემოკრატიული მომავლის თვალსაზრისით და ამისთვის ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები ძალისხმევას არ იშურებენ, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ციხეში უდანაშაულოდ მყოფი ადამიანების ინტერესების უგულებელყოფის ხარჯზე.

ამის შესახებ „სამოქალაქო მოძრაობის“ ლიდერმა ლევან იოსელიანმა განაცხადა.

მისი თქმით, უსამართლოდ მანდატების განაწილებას ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ აღარავინ შეეგუება.

– არანაირ სისტემაზე შეთანხმება არ ღირს იმად, რომ უდანაშაულო ხალხი დარჩეს გისოსებს მიღმა. ხელისუფლებამ უკან უნდა დაიხიოს, გაათავისუფლოს ბესიკ თამლიანი და სხვა პოლიტპატიმრები და მისცეს ჩვენს მოქალაქეებს საშუალება სამართლიან არჩევნებში მიიღონ მონაწილეობა, სადაც მიღებული მხარდაჭერის პროპორციულად იქნებიან პოლიტიკური ძალები წარმოდგენილი პარლამენტში. უსამართლოდ მანდატების განაწილებას და მუნჯი მაჟორიტარების ხარჯზე ხელისუფლების მიტაცებას ამ ქვეყანაში და არც მის ფარგლებს გარეთ აღარავინ აღარ შეეგუება, – განაცხადა ლევან იოსელიანმა.

# „ეს არჩევნები არის ახალი დიდგორი საქართველოში“

## სააკაშვილმა თბილისში შტაბი გახსნა

გუშინ, 2 მარტს, საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაში შტაბი გახსნა, რომელსაც თავად უხელმძღვანელებს.

ადგილზე შეკრებილ მხარდამჭერებს და პოლიტიკოსებს მიხეილ სააკაშვილმა სკაიპის საშუალებით მიმართა.

სააკაშვილის განცხადებით, გამარჯვებას ალტერნატივა არ აქვს.

– ვამზადებთ ხმების დათვლის სულ სხვა სისტემას, ძალიან ბევრი ახალი დამკვირვებელი გვეყოლება სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში და სხვადასხვა კუთხით მომზადებულები, ასევე გვექნება სახის ამომცნობი სისტემა, რომ კარუსელები გავაჩეროთ, ახალი ტექნოლოგიები ამის საშუალებებს იძლევა. გვექნება მოსყიდვის საწინააღმდეგო სერიოზული სისტემები და, რაც მთავარია, ჩვენ ძალიან ბევრ ამომრჩეველს გამოვიყვანთ.

ეს არჩევნები არის ახალი დიდგორი საქართველოში. ეს არჩევნები არის, საქართველო იქნება თუ არ იქნება, საქართველო გადარჩება თუ დაიკარგება. ტყუილად ვიცხოვრეთ?! ჩვენს ცხოვრებას არაფერი აზრი არ ჰქონდა თუ ყველაფერს აზრი ჰქონდა. ეს არის ჭეშმარიტების მომენტი, ამ მომენტში ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენს სამშობლოს ვუმტყუნოთ. დავქექო თბილი ბუხარი და ვთქვა, რომ ოდესღაც რაღაც იყო? არაფერი ყოფილა, თუ შენი სამშობლო არ გადაარჩინე. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, ჩვენს გამარჯვებას ალტერნატივა არ აქვს! – განაცხადა სააკაშვილმა.

ამ საკითხზე კომენტარი გააკეთა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ

– სააკაშვილი ეცდება, თავის გარშემო შემოიკრიბოს და დააბულინგოს ოპოზიციური სპექტრის დიდი ნაწილი, რომ თავის დაკრულზე იარონ, – განაცხადა მან.

მდინარაძის თქმით, სააკაშვილს ავტორიტარული თვისებები აქვს.

– ავტორიტარული ემოციები, თვისებები ამ კაცს აქვს და ვერასდროს იტანს, რომ ერთ-ერთია მათ შორის, ვინც შეიძლება ოპოზიციურ სპექტრს წარმოადგენდეს. ამისი გამოვლინებები ხშირად ვნახეთ. მის ქმედებებზე პასუხს ჩვენ ნუ მოგვთხოვთ. ყოველ შემთხვევაში, ზუსტად ვიცი, რომ ის ეცდება თავის გარშემო შემოიკრიბოს და დააბულინგოს მათ შორის ოპოზიციური სპექტრის დიდი ნაწილი, რომ თავის დაკრულზე იარონ. ამას თუ აყვებიან სხვა ოპონენტები, მათი საქმეა, მათზე იმოქმედებს და ამომრჩეველიც შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს, – განაცხადა მდინარაძემ.

– საინტერესოა, ამ ბიბლიოთეკაში თუ მოიძებნება ინფორმაცია, რომ ნაციონალურ მოძრაობას ჰყავდა 300 ათასზე მეტი პრობაციონერი, 23 ათასამდე პატიმარი, – ეს განცხადება კი ანრი ოხანაშვილს ეკუთვნის.

მისი თქმით, სიმბოლურია, რომ გუნდი, რომელიც ასოცირდებოდა სისტემურ დანაშაულთან, ბიბლიოთეკაში ხსნის შტაბს.

– სიმბოლურია, რომ გუნდი, რომელიც ასოცირდებოდა სისტემურ დანაშაულთან, ბიბლიოთეკაში ხსნის შტაბს. საინტერესოა, ამ ბიბლიოთეკაში თუ უდევთ წიგნები, თუ უდევთ ის დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც თავის დროზე შეიმუ-




შავეს სახალხო დამცველმა, პარლამენტმა, საერთაშორისო პარტნიორებმა იმის თაობაზე, რომ მათ ჰყავდათ 300 ათასზე მეტი პრობაციონერი, 23 ათასამდე პატიმარი და ა. შ. საინტერესოა, ასეთი ინფორმაცია თუ მოიძებნება ამ ბიბლიოთეკაში, იმიტომ, რომ ეს ადამიანები ერთს ამბობენ და მეორეს აკეთებენ. ასე იყო მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს, როდესაც მათი სტრატეგია აგებული იყო პროპაგანდაზე, რომ თითქოს დემოკრატიული ნაბიჯები იდგმებოდა, თუმცა რეალურად ადამიანის უფლებები ფეხქვეშ ითელებოდა, – დასძინა ანრი ოხანაშვილმა.

## 4 მარტს პარლამენტში სალომე ზურაბიშვილს მოუსმენენ

4 მარტს საკანონმდებლო ორგანოში საქართველოს პრეზიდენტს მოუსმენენ.

სალომე ზურაბიშვილი ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე პარლამენტის წინაშე ყოველწლიური მოხსენებით წარდგება.

როგორც ბიუროს სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, პრეზიდენტის ყოველწლიური ანგარიშის მოსმენა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა.

არჩილ თალაკვაძემ იმედი გამოთქვა, რომ პრეზიდენტის მოხსენება საინტერესო იქნება.

პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, საგაზაფხულო სესიის ფარგლებში, პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენებით გამოსვლა, როგორც წესი, პლენარული სხდომების პირველ დღეებში ხდება.

ამავე კვირაში პარლამენტში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრსაც მოუსმენენ. მაია ცქიტიშვილი პარლამენტში „მინისტრის საათის“ ფორმატში წარდგება.

## ინფექციურ საავადმყოფოში 27 პაციენტი რჩება

ინფექციური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორის, მარინა ეზუგბაიას განცხადებით, 8 პაციენტზე ტესტის პასუხები მიიღეს და მათ კორონავირუსი არ დაუდგინდათ.

როგორც ინტერპრესნიუსს ეზუგბაიამ განუცხადა, ინფექციურ საავადმყოფოში ჯამში 27 პაციენტია.

– ამ დროისთვის ჩვენთან არის 27 პაციენტი. მოვიდა 8 პაციენტის პასუხი კორონავირუსის ტესტირებაზე და 8-ვე პასუხი უარყოფითია და ეს 8 პაციენტი გადავა საკარანტინო სივრცეში. ახლა დამთავრდა, 13 პაციენტზე კიდევ აიღეს ტესტები და პასუხების შედეგები იქნება ან ძალიან გვიან, ან დილით.

27 პაციენტი გვყავს, 8-ის პასუხი მივიღეთ, ეს 8 გადავა საკარანტინო სივრცეში, დარჩება – 19. 19-დან აღებულია 13-ზე. პარალელურად კიდე პაციენტები შემოდიან, – განაცხადა მარინა ეზუგბაიამ.

## ასლან ბჟანია მოწამვლის ნიშნებით სოჭის საავადმყოფოში გადაიყვანეს

ოკუპირებული აფხაზეთის ერთ-ერთი ე.წ. საპრეზიდენტო კანდიდატი, ასლან ბჟანია მოწამვლის ნიშნებით სოჭის საავადმყოფოშია გადაყვანილი.

ინფორმაციას „ინტერფაქსი“ ავრცელებს.

– სოჭში მან თავი ცუდად იგრძნო. ის სასწრაფოდ მოათავსეს კლინიკაში. ეჭვია კვებით ინტოქსიკაციაზე, – უთხრა „ინტერფაქსს“ ასლან ბჟანიას მეგობარმა.

## „ვიღაცამ მხარზე დამადო ხელი, მოვიხედე და შოთა გორგოძე მიყურებს“

### საქართველოს ყოფილი შს მინისტრი 87 წლის ასაკში გარდაიცვალა

87 წლის ასაკში გარდაიცვალა შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, შინაგანი სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი შოთა გორგოძე.



შოთა გორგოძე დაიბადა ზესტაფონის რაიონი სოფელ ზედა ილემში, 1950 წელს დაამთავრა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინრების ინსტიტუტი. მუშაობდა ქარხანა „ელექტროგამშვებში“ საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსად, 1963-1965 წლებში საქართველოს კპ თბილისის პირველი მაისის რაიკომის ინსტრუქტორად, 1965 წლიდან – შინაგან საქმეთა სამინისტროში განყოფილების უფროსად, სამმართველოს უფროსის მოადგილედ, სამმართველოს უფროსად, 1977-1986 წლებში შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ.

1986-1990 წლებში იყო შს მინისტრი, 1987-1990 წლებში – საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, 1985-1990 – სპორტსაზოგადოება „დინამოს“ თავმჯდომარე.

1994-2000 წლებში შოთა გორგოძე იყო საქართველოს შსს აკადემიის რექტორი.

2001 სექტემბრიდან თადარიგშია. იყო პედაგოგიურ მეცნიერებათა და საერთაშორისო ინფორმატიკის აკადემიების წევრი. მიღებული ჰქონდა ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი (2003).

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორმა ლევან თაქთაქიშვილმა ფეისბუქში შოთა გორგოძის თაობაზე დაწერა:

„ეს იყო ალბათ 1988 წელს. ჩემი დეიდაშვილის ქორწილის მეორე დღის ქეიფი წყნეთში. დილამდე ქეიფი და დილას, ესე 9 საათზე წამოვედი.

ნაწვიმარი შავი ასფალტი და ვაწვები ფეხით თბილისისკენ. არ დაველოდე ჩემებს. თან უკან ვიყურები, იქნებ ვინმემ გამოიაროს.

მოქრის შავი „ვოლგა“. ხელი დავუქნიე. არაფერი რეაქცია და 100 მეტრის გავლის მერე გაჩერდა. მე ჯერ ნელა მივდივარ. მანქანა დგას. გავიქეცი და გამოვაღე წინა კარი. მძღოლს ვეუბნები თბილისში ჩამიყვანე-მეთქი. არაფერი მითხრა. „ზნაჩიტ“ თანახმაა. ჩავჯექი და დაიძრა. დიდი მადლობა-მეთქი. გამოიხედა და კვლავ არაფერი პასუხი. ჩავედით ქალაქში. საბურთალოზე იქნებ გამიყვანოთ-მეთქი. წავიდა. სახლთან გავაჩერებინე და 3 მანეთს ვაწვდი. გამოიხედა და არაფერს მეუბნება. ჩავიყავი ჯიბეში ხელი და 5 მანეთი ამოვიღე და ვაძლევ. არაფერს მეუბნება. ბიძია, აიღე-მეთქი.

უცებ უკანა სავარძლიდან ვიღაცამ მხარზე დამადო ხელი. ჩადი, შვილო! მეუბნება ვიღაც. მოვიხედე და შოთა გორგოძე მიყურებს.

დღეს მისი გარდაცვალება გავიგე. ნათელში იყავით, ბატონო შოთა!“

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე  დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55  გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge  ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „პოლიტპატიმრების გამოშვების გარეშე „ოცნებასთან“ მოლაპარაკება გამორიცხულია“

## გიორგი ვაშაძე: „არჩევნები ალბათ ძველი სისტემით ჩატარდება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს **გიორგი ვაშაძე** პასუხობს.

***– ბატონო გიორგი, კონკრეტულად რას გთავაზობთ ხელისუფლება და რა შემთხვევაში მიიღებს შეთავაზებას ოპოზიციური ერთობა?***

– ორი კომპონენტისგან შედგება ჩვენი დღევანდელი მოთხოვნა: ეს არის პოლიტპატიმრების განთავისუფლება და პოლიტიკური დევნის შეწყვეტა და მეორე კომპონენტი არის, რაციონალური, პროპორციულთან მიახლოებული საარჩევნო სისტემა.

***– რას გულისხმობს ეს?***

– ეს გულისხმობს არა იმას, რასაც „ქართული ოცნება“ ამბობს, რომ 40%-იანი ნიშნულიო და რეალურად 30%-იან ნიშნულს ფიქრობს თავის თავისთვის. გაიჟღერა ოპოზიციის სხვადასხვა ჯგუფების მხრიდან 15/135-ზე, 20/130-ზე და ასე შემდეგ. მე მზად ვარ, ეს განვიხილო, ჯერ საბოლოოდ ჩამოყალიბებული პოზიცია არა მაქვს ამაზე, თუმცა, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, ციფრებით თამაშს და საზოგადოების შეცდომაში შეყვანას არ დავუშვებთ. შესაძლოა, ადეკვატურ საარჩევნო სისტემას მხარი დავუჭიროთ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამისკენ პოლიტპატიმრები მოგვიწოდებენ. „ოცნებას“ ციფრებით მანიპულირების უფლებას არ მივცემთ.

***– იტოვებს „ოცნება“ ციფრებით თამაშის და მანიპულირების საშუალებას ამ შეთავაზებებით?***

– რა თქმა უნდა. უფრო მეტიც, გავრცელდა ინფორმაცია, ამ 20 მაჟორიტარული ოლქის როგორი დაჭრა და დაქუცმაცება უნდათ.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ 15 ათასმა კაცმა, მესტიალენტეხში თურმე უნდა აირჩიოს 1 მაჟორიტარი და 300 ათასმა ადამიანმა, გლდანი-ნაძალადევში, ასევე 1 მაჟორიტარი. ამაზე ხომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაც არის, არა?! ამ ხრიკებს ჩვენ ვერ ავყვებით ვერც ერთ შემთხვევაში.

***– მათ შემოთავაზებებში საერთოდ არ გაჟღერებულა პოლიტიკური დევნის და პოლიტპატიმრების საკითხი, არც კულუარულად საუბრობენ ამაზე?***

– ისინი ღიად არ საუბრობენ ამ საკითხებზე. კულუარებს რაც შეეხება, მე არ ვიცნობ მათ კულუარებს.

***– არაოფიციალურ შეხვედრებზე, დიპლომატებთან?***

– არა, არ ყოფილა რაიმე პროგრესი ამ მიმართულებით. მე კი გეუბნებით, რომ ხელისუფლებასთან მოლაპარაკების მაგიდა გამორიცხულია პოლიტპატიმრების გათავისუფლების გარეშე.

***– რას აპირებს ოპოზიცია?***

– უნდა მოვემზადოთ არჩევნებისთვის და „ქართული ოცნება“ გავუშვათ ხელისუფლებიდან. საერთაშორისო ასპარეზზე, „ქართულ ოცნებას“ ამ პოზიციებიდან გამომდინარე, ექნება ძალიან კრიტიკული შეფასება, მორჩა და დამთავრდა! 4 აპრილს ვიკრიბებით თბილისში.

***– არ გადაიხედება ეს საკითხი? ითქვა, რომ კორონავირუსის გამო, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, შესაძლოა გადაიდოს ეს შეკრება.***

– ჯერჯერობით არ შეცვლილა არაფერი. ვნახოთ, თუ რაღაც საგანგაშო გავრცელება იქნა, შემდეგ შეიცვლება. ჯერჯერობით ამაზე მსჯელობა არ ყოფილა.

***– ხელისუფლების პირველი პირების მხრიდან უკვე მოვისმინეთ ბრალდებები ოპოზიციის მისამართით, რომ თუკი გააჭიანურებს ოპოზიცია პასუხს, მაშინ ვადებში ვერ ჩავეტევით და მოლაპარაკებების ჩაშლაც მათი ბრალი იქნებაო. ამაზე რით უპასუხებთ?***

– ეგ არის აბსურდი. ამ სიტყვების ხომ არავის სჯერა. არც ქვეყნის შიგნით, არც ქვეყნის გარეთ. ძალიან მარტივია, ხალხს არ მოვატყუებინებთ ჩვენ არც ერთ შემთხვევაში, ტყუილზე ხელს არ მოვაწერთ. მორჩა და დამთავრდა.

***– რა პოზიცია აქვს დიპლომატიურ კორპუსს, ვინც ასე აქტიურადაა ჩართული ამ მოლაპარაკებებში?***



– საკმაოდ მკაცრი და მკაფიო პოზიციაა, რომ შეთანხმება უნდა მოხდეს. სწორედ ამას სთხოვენ „ქართულ ოცნებას“. ყველამ იცის, რომ „ქართული ოცნებაა“ დამნაშავე იმ ყველაფერში, რაც ახლა ხდება საქართველოში.

***– ასეთი შეფასებებიც გვესმის, რომ სწორედ ოპოზიციას აწყობს არსებული საარჩევნო სისტემა, რადგან ისინი თანხმდებიან ერთიან მაჟორიტარებზე, მათთვის ეს სიტუაცია უფრო მომგებიანია და ამიტომ ეუბნებიან უარს ხელისუფლებას მოლაპარაკებებზეო. ასეა?***

– კი ბატონო, ჩვენ ალტერნატიული გზები გვაქვს, ნამდვილად ვფიქრობთ ამ ყველაფერზე. მათ შორის მაჟორიტარული ოლქების შეთანხმებაზე. დარწმუნებული ვარ, რომ ამ პირობებშიც დავამარცხებთ „ქართულ ოცნებას“, მაგრამ თუ იქნება რაციონალური გადაწყვეტა პროპორციულსა და მაჟორიტარულ სისტემას შორის, მაშინ ჩვენ მზად ვართ, რომ ამაში მივიღოთ მონაწილეობა.

***– ანუ, დიდი ალბათობით ფიქრობთ, რომ დარჩება ის სისტემა, რაც არის ახლა?***

– ალბათ ასე იქნება. ჯერჯერობით სხვა პერსპექტივას ვერ ვხედავ. თუ თავისგან გაშვებული ადამიანები ისევ შეიერთა „ქართულმა ოცნებამ“, შეიძლება ეყოთ ხმები პარლამენტში და თვითონვე შეიტანონ ეს ცვლილებები.

***– ამასაც უშვებთ, რომ ოპოზიციასთან თუ ვერ შეთანხმდნენ, მაინც შეიტანონ ცვლილებები?***

– რა თქმა უნდა. ეს ღიად ჩანს მათი განცხადებებიდან, რომ აპირებენ ინიცირებას.

***– თუ ეს ცვლილება კვლავაც მიუღებელი იქნება ოპოზიციისთვის, მაშინ ამ ცვლილებებს რა აზრი აქვს?***

– ხომ ვხედავთ, რასაც ცდილობენ. თალაკვაძემაც აქეთ მიანიშნა, რომ მხოლოდ ორი ოპოზიცია არსებობს და ა.შ. ეს ძველი რიტორიკაა „ქართული ოცნების“, რომელიც ყველამ კარგად იცის. ვის გულისხმობს მეორე ოპოზიციაში, ვითომ კონსტრუქციულში, მე ეს საერთოდ არ ვიცი. თუ ვინმე არის ასეთი, ვფიქრობ, რომ ის უბრალოდ „ქართული ოცნების“ თამაშს თამაშობს.

***– ხომ არ დაიწყება გვერდითი მოლაპარაკებები და ამ ერთიანობის რღვევა?***

– ლეიბორისტულ ოფისში ვინც იკრიბება ოპოზიციურ ფორმატში, მე არ მგონია, რომ რომელიმემ სხვა ნაბიჯი გადადგას.

***– თქვენ თქვით, რომ „ოცნება“ თავადვე მოახდენს პარლამენტში ინიცირებას. ეს ხომ არ არის პოზიორობა დასავლეთთან და შემდეგ თავის მართლება, რომ ჩვენ გავითვალისწინეთ თქვენი რეკომენდაციები, შევცვალეთ კანონი, მაგრამ ოპოზიცია არც ამაზე წამოვიდა.***

– ეს ასე ვერ გაიყიდება დასავლეთში, ამის გარანტიას გაძლევთ!

# განათლების მინისტრის მოადგილე ირინა აბულაძე გადადგა

## „ყოფილ მინისტრ მიხეილ ბატიაშვილს დიდ მადლობას ვუხდი“

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, ირინა აბულაძემ, თანამდებობა დატოვა.

ამის შესახებ აბულაძემ სოციალურ ქსელში დაწერა.

როგორც მინისტრის ყოფილი მოადგილე აღნიშნავს, თავის გეგმებზე ის მოგვიანებით ისაუბრებს:



„მივიღე გადაწყვეტილება, არსებული პოსტი დავტოვო და ცხადია, გავაგრძელო ამ საქმის და გუნდის ერთგულება რეფორმის დანერგვის შემდეგ ეტაპზე. ჩემს გეგმებზე ოდნავ მოგვიანებით.

ძალიან მოკლედ გავიხსენებ ამ პერიოდის ჩემთვის ერთ-ორ მნიშვნელოვან განვითარებას, და აქვე, პირველ რიგში, დიდ მადლობას გადავუხდი ყოფილ მინისტრს, მიხეილ ბატიაშვილს, ჩვენს გუნდს სამინისტროში, ჩემს კოლეგა მინისტრის მოადგილეებს ფინანსთა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის და სხვა სამინისტროებიდან, ასეთი აქტიური და ნამდვილად შესაშური (7/24) თანამშრომლობისთვის!

პირველი ოფიციალური შეხვედრა, დანიშვნიდან პირველივე შაბათს, ფინანსთა სამინისტროში გვქონდა, სადაც ითქვა, რომ უნდა დაიდოს განათლების რეფორმის სისტემური ხედვა ყველა დონეზე, არა ცალკეულად აღებული ზოგადი ან რომელიმე საფეხურის.

რა თქმა უნდა, აქ მნიშვნელოვანი მათ შორის კავშირების დანახვა იყო, თუ როგორ უწყობს თითოეული საფეხურის განვითარება, შემდეგის განვითარებას ხელს. იმ და შემდეგ ბევრ შეხვედრაზე, მათ შორის საერთაშორისო და საფინანსო ორგანიზაციებთან ვმსჯელობდით განათლების სისტემის განვითარებაზე, კვლევებზე და საქართველოს სპეციფიკაზე, ესგ ჯგუფის მიერ მომზადებულ კონცეფციაზე, რომელიც რეფორმის დაწყებას სწორედ საკლასო ოთახიდან გულისხმობდა. მიღწევებზე და იმ ფუნდამენტზე, რაზეც აუცილებლად უნდა დაშენებულიყო ეს ხედვა.

ამ ყველაფერთან სინქრონში დავიწყეთ მასწავლებლების სახელფასო პოლიტიკის მოწესრიგება, საპენსიო ასაკს მიღწეულ მასწავლებლებს შევთავაზეთ არჩევანი – სურვილის შემთხვევაში მათი ღირსეული გაცილების გზით.

წახალისებაზე ორიენტირებული სისტემა, სკოლების მართვის სისტემის ეფექტიანობის გაზრდა, ამისათვის სკოლების „დარუქების“ პროექტის დაწყება (რომლის სოფტი MCC/MCA შეგვიძინა), – სადაც EMIS ბაზაზე ამ ეტაპისთვის სისტემაში ჩაშენდა უამრავი მონაცემი და დაიხაზა საფეხმავლო გზებიც კი, უბნის დონეზეა შესული მონაცემები მოსწავლების შესახებ და განათლებაზე ხელმისაწვდომობის სრული ანალიზია შესაძლებელი. შემდგომ კი მოსწავლეთა შედეგების და სკოლების თვით/შეფასების ინტეგრირების შესაძლებლობას იძლევა.

ეს ყველაფერი კი მიმართულია სკოლების გაძლიერებისკენ, რომ ისინი გადაიქცნენ სოციალურ-კულტურულ, მულტიფუნქციურ განათლებისა და აღზრდის კერებად, რაც ასე მნიშვნელოვანია ქვეყნის, რეგიონის და სოფლის გასაძლიერებლად.

ამ ხედვის შეთავაზებით, წელიწადნახევარში 300 მლნ-ზე მეტი აშშ დოლარის საინვესტიციო პროექტების მოძიება გახდა შესაძლებელი ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებისგან და ყოველწლიურად მნიშვნელოვნად მზარდი სახელმწიფო ბიუჯეტის დადასტურება!

დიდი მადლობა თითოეულ მასწავლებელს, განათლების მუშაკებს, ჩვენს ყველა დარგობრივ, ფინანსურ და ადმინისტრაციულ დეპარტამენტს, ჩვენს სსიპ-ებს, საერთაშორისო პარტნიორებს და პოლიტიკურ გუნდს!

რეფორმა პროცესია, მნიშვნელოვანია მუდმივი განვითარება და მდგრადობა, მონაცემებზე დაფუძნებით მუდმივი დახვეწა. ყველაფერი გრძელდება და კიდევ უამრავ და მასშტაბურ სიახლეს შემოგვთავაზებს, რაშიც დიდ წარმატებას ვუსურვებ სამინისტროში ჩემს კოლეგებს! და რა თქმა უნდა, მადლობა მინისტრს, ბატონ მიხეილ ჩხენკელს, მისი ნდობისთვის და მხარდაჭერისთვის, ჩვენი თანამშრომლობის ყველა ეტაპზე!“

ირინა აბულაძე მინისტრის მოადგილის თანამდებობას 2018 წლის ივლისიდან იკავებდა.

მანამდე ის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში მუშაობდა და მასწავლებელთა და დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტს ხელმძღვანელობდა.

2016 წელს ირინა აბულაძე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორის მოადგილის პოზიციაზე მუშაობდა.

# გია ჟორჟოლიანი: „ჩვენ ვითხოვდით 115/35-ზე და ბარიერის გაუქმებას“

## „ყველაფერი მაისის ბოლოს გადაწყდება“

ნათია ხურცილავა

სოციალ-დემოკრატების თავმჯდომარე, პარლამენტის დეპუტატი **გია ჟორჟოლიანი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო გია, თქვენთვის რამდენად მისაღებია ხელისუფლების ახალი შემოთავაზება 110-40-ზე და 40%-იანი შეზღუდვა, რომელიც გულისხმობს, რომ თუ პარტიამ ვერ მიიღო 40%-ზე მეტი, მთავრობა ვერ დააკომპლექტოს?***

– მთლიანობაში ჩვენი ინიციატივაც მეტი პროპორციულობა იყო. ასევე გადამწყვეტი არის 1 პროცენტიანი ბარიერი. დიალოგში ჩართული მხარეების გარდა, პარლამენტში არის კიდევ 27 დეპუტატი და საჭირო იყო მათი პოზიციების გათვალისწინებაც, რომლებსაც საკონსტიტუციო ცვლილებების დროს შეუძლიათ კანონპროექტს მხარი დაუჭირონ, თუ, რასაკვირველია ეს ცვლილებები იქნება მისაღები.

ჩვენი წინადადება იყო, პროპორციულობა გაზრდილიყო, ვითხოვდით 115-35-ზე და ბარიერის გაუქმებას ან 1%-აინ ბარიერს. რაც შეეხება 40% ჩამკეტს, ეს წინადადება დიალოგში მონაწილე ოპოზიციიდან იყო წამოსული. ეს მნიშვნელოვანი წინადადებაა.

რაც მეტი პროპორციული მანდატი იქნება, უფრო მიზანშეწონილად მიმაჩნია. რაოდენობის დადგენა ოლქების განხილვის დროსაც შეიძლება.

***– კონკრეტულად რამდენი მაჟორიტარი წარმოგიდგენიათ, მაგალითად, თბილისში?***

– წინასწარ როგორ გითხრათ, ოლქებმა უნდა განსაზღვროს.

***– მაგალითად, 5 მაჟორიტარი თბილისში მისაღები იქნება?***

– მე მგონია, რომ თბილისში სასურველია, მინიმუმ 8 ოლქი იყოს. მანდატების რაოდენობა, ოლქების საზღვრები და ა.შ. ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ამ საკითხების ერთმანეთისგან მოწყვეტით და კონტექსტის გარეშე განხილვა არაპროდუქტიულია. შედეგს არ მოგვცემს.

***– შემდეგი ეტაპი რა შეიძლება იყოს?***

– ყველა შემთხვევაში „ქართულმა ოცნებამ“ ეს კანონპროექტი საკონსტიტუციო ცვლილების შესახებ პარლამენტში უნდა შემოიტანოს. თუ შემოიტანს, ამის შემდეგ მსჯელობა უნდა გაგრძელდეს. უნდა იყოს შეთანხმება მიღწეული, რომელიც მაქსიმალურად გაითვალისწინებს ამ პრინციპებს. დღეს რთულია კონკრეტული ციფრების დასახელება.

***– საკონსტიტუციო უმრავლესობა არ ჰყავს „ქართულ ოცნებას“ ამ კანონპროექტის გასატანად, თქვენ რა შემთხვევაში მიეხმარებით პარლამენტში ხელისუფლებას?***

– შეწყვეტილი მოლაპარაკებები რომ განახლებულიყო, ეს წინადადებები მე წამოვაყენე, ხელისუფლებამ კი არ წამოაყენა! ეს არ არის ხელისუფლების დახმარება! ხელისუფლების დახმარებაა 40%-იანი ჩამკეტით შეიზღუდოს თავი?! ხელისუფლების დახმარებაა, საარჩევნო ბარიერი რომ გაუქმდეს?! ხელისუფლების დახმარებაა, რომ პროპორციული მანდატების რაოდენობა გაიზარდოს?! ხელისუფლების დახმარება არის 73-77-ზე რომ დარჩეს, არსებული მოდელის შენარჩუნება!

ყველას მოვუწოდებ, ხელისუფლებას კი არა, ქვეყანას დაეხმაროს და უფრო უკეთესი, ბევრად უფრო ლეგიტიმური საარჩევნო გარემო შეიქმნას.

***– მეტი პროპორციულობაო, ბრძანეთ, 110-40-ზე არის მეტი პროპორციულობა?***

– არასწორია ეს კითხვა! ჩვენი წინადადება 115-35-ზე იყო, რადგან კომპრომისულია, თორემ 117-ც რომ იყოს, განა წინააღმდეგი ვარ?! ეს ციფრები მოლაპარაკების საგანია. ახლა მთავარი არის, ეს კანონპროექტი შემოიტანოს „ოცნებამ“. თუ შემოიტანს, ვისაც უნდა, ის მხარს დაუჭერს და ვისაც დღევანდელი მოდელის შენარჩუნება ურჩევნია, ის არ დაუჭერს.

***– თამარ ჩუგოშვილი აცხადებს, იმდენჯერ მომატყუა ჩემმა გუნდმა, რომც შევთანხმდეთ, არ ვიცი, თუ ბოლომდე გავაო. თქვენ გჯერათ, რომ შეთანხმება გავა?***



– ამ მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებისგან ჩვენ არაერთხელ გვინახავს საკუთარი პოზიციების უარყოფა. ამდენად, მაისის ბოლოსთვის, როდესაც ღილაკების მიჭერაზე დადგება საქმე, მაშინ ვნახავთ, მანამდე ეს გარანტია არ არსებობს.

ციფრები როდესაც გამოისახება ტაბლოზე, მერე იქნება გადაწყვეტილება ან მიღებული ან ჩავარდნილი. ძალიან რთული პროცესია და ძნელია წინასწარ იმის თქმა, როგორ დასრულდება ის.

# გიორგი გუგავა: „ოცნებას“ არსებული სისტემის გაუარესება უნდა, რათა არჩევნები კვლავ გააყალბონ“

## სანამ რეჟიმს ჰყავს პოლიტპატიმრები, სიტუაცია ვერ განიმუხტება, მაგრამ თუ 120/30-ზე დათანხმდებიან, ჩვენც დავუჭერთ მხარს“

იაგო ნაცვლიშვილი

საარჩევნო საკითხებისა და პოლიტპატიმრების თემაზე გრძელდება ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლების შეხვედრები. საუბარი რამდენიმე ვარიაციის შესახებ მიმდინარეობს, თუმცა კონკრეტული შედეგი ჯერ არ ჩანს.

აქვს თუ არა მოლოდინი, რომ კონკრეტულ შედეგამდე მივლენ? მისაღებია თუ არა ხელისუფლების შემოთავაზებები და თუ ხელისუფლება დათანხმდა სისტემას 130/20-ზე, მაგრამ არ აღიარა პოლიტპატიმრების თემა, რა პასუხი ექნება ოპოზიციას? – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი გუგავა** საუბრობს:

***– როგორ აფასებთ იმ დიალოგს, რომელსაც ოპოზიცია ხელისუფლებასთან მართავთ? თუ ხედავთ პერსპექტივას იმის, რომ კონკრეტული შედეგით დასრულდეს ეს? აქვე გვითხარით თქვენი პოზიცია ხელისუფლებების შემოთავაზებებზე?***

– ძნელია ოპტიმისტურად იყოს განწყობილი, როდესაც გვქონდა ისეთი აფიორა, რაც გაათამაშეს რამდენიმე თვის წინ და ჩააგდეს პროპორციული არჩევნები და დაპირების მიუხედავად მთელი საზოგადოება გადააგდეს, მათ შორის მოატყუეს სტრატეგიული მოკავშირეები და საერთაშორისო თანამეგობრობა. ვნახეთ, ეს როგორც დამთავრდა. გაითამაშეს აფიორა.

რაც შეეხება ახლანდელ შეხვედრებს, ჯერ კონკრეტული არაფერი არ თქმულა. ვგულისხმობ იმას, რომ ეს უნდა იყოს ინიცირებული და არა ის გაურკვეველი განცხადებები, რომელსაც აკეთებს პარლამენტის თავმჯდომარე და მისი ამფსონები, ყველანი არიან ბიძინა ივანიშვილის მარიონეტები.

ამავე დროს, როგორც სჩვევიათ, კვლავ ვირეშმაკობენ და ნაცვლად იმისა, რომ მაქსიმალურად პროპორციულთან იყოს მიახლოებული, ანუ არსებითად პროპორციული იყოს, კვლავ აპირებენ, რომ საარჩევნო ოლქები ისე განსაზღვრონ და ჩამოაყალიბონ, რომელიც მთლიანად არღვევს პროპორციულობის პრინციპს და უზრუნველყოფს არჩევნების კვლავ გაყალბებას.

ამავე დროს არ განიხილავენ პოლიტპატიმრების საკითხს და პოლიტიკური დევნის საკითხს არ განიხილავენ, რაც არსებითად ვერ გააჯანსაღებს არსებულ პოლიტიკურ ვითარებას.

***– ბუნებრივია, იმ შეხვედრებზე დააყენებდით ამ საკითხებს და რა პოზიცია აქვს მმართველ გუნდს პოლიტპატიმრების თემაზე?***

– დახურულ შეხვედრებზე რაზე იყო მსჯელობა, არ მგონია, მართებული იყოს ამაზე საუ-



ბარი. ჩვენ ვიმსჯელოთ იმ საჯარო განცხადებებთან დაკავშირებით, რაც ხდება. საჯარო განცხადებების დროს მათ განაცხადეს, რომ ქვეყანას პოლიტპატიმრები არ ჰყავს. ჩვენ ნამდვილად არ ვთვლით ასე. აქედან გამომდინარე, თუ ეს საკითხები არ შესრულდა ხელისუფლების მხრიდან, ეს ვერ ჩაითვლება შეთანხმებად და ვერ ჩაითვლება კომპრომისად და კვლავ გაგრძელდება ბრძოლა არსებითად პროპორციული სისტემის მოსაპოვებლად. ასევე გაგრძელდება ბრძოლა პოლიტპატიმრების გასათავისუფლებლად. თუ ეს შეთანხმებები ვერ მოხდა და კომპრომისი ვერ მოიძებნა, სრული პასუხისმგებლობა დაეკისრება ხელისუფლებას.

აქედან გამომდინარე მათი განცხადებები, რომ თითქოს რაღაცას ცვლიან, ჯერჯერობით ჰგავს სიყალბეს და აფიორას და, შესაბამისად, სრული ოპოზიციური განწყობაა ისეთი, რაზეც მე გესაუბრეთ.

***– ანუ გრჩებათ განცდა, რომ დროს წელავენ და ცდილობენ, პარტნიორებს აჩვენონ, თითქოს დიალოგისთვის მზად არიან, სინამდვილეში კი სხვა რამე აქვთ ჩაფიქრებული?***

– დიალოგისთვის კომპრომისის მზაობა ნიშნავს შემხვედრი ნაბიჯების გადადგმას და არა მანდატებით ვაჭრობას. 10 მანდატი იქნება თუ 20. ჩვენი მიზანი არის, რომ არსებითად



სამართლიანი იყოს არჩევნები. სამართლიან არჩევნებს უზრუნველყოფს პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნები საქართველოს შემთხვევაში, მაგრამ რადგანაც ჩააგდეს პროპორციული, ოპოზიციამ რამდენიმე ვარიანტი შესთავაზა. გერმანული ვარიანტი, გერმანულის ადაპტირებული ვერსია და ქართულ რეალობაზე მორგებული, ასევე შერეული მრავალმანდატიანი ოლქების. ყველაფერზე უარი თქვეს და ახლა ველოდებით მათ წინადადებებს. ოღონდ ის უნდა იყოს ისეთი, რომელიც არსებითად პროპორციულ სისტემას გულისხმობს და ამავე დროს პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებასა და პოლიტიკური დევნის შეწყვეტას. ეს ჩაითვლება კომპრომისად და ამ შემთხვევაში შეთანხმება შესაძლებელია.

გვთავაზობენ 110/40-ზე. ეს, ერთი მხრივ, არსებულ მოდელს 77/73-ზე უკეთესია, მაგრამ მეორე მხრივ აპირებენ, რომ ეს 40 მაჟორიტარული ოლქი იცით, რა პრინციპით ჩამოაყალიბონ?

***– რა პრინციპით?***

– ვთქვათ ლენტეხი და მესტია იყოს ერთი მაჟორიტარული ოლქი, რომელსაც ჰყავს 16.000 ამომრჩეველი და გლდანი-ნაძალადევი იქნება ასევე 1 მაჟორიტარული ოლქი, რომელშიც 300.000 ამომრჩეველია. ანუ, სადაც არ აქვთ გამარჯვების შანსი, იქ მაქსიმალურად გაზრდიან არეალს, ხოლო, სადაც გამარჯვების რესურსი აქვთ ადმინისტრაციული რესურსის ეფექტიანი გამოყენების ხარჯზე, იქ შემცირება უნდათ.

***– მაგრამ, ხომ გვახსოვს, ამაზე დისბალანსი დაადგინა საკონსტიტუციო სასამართლომ და მოუწიათ ამის გამოსწორება?***

– დიახ, ეს არღვევს კონსტიტუციურ პრინციპს, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო რამდენიმე წლის წინ. ვენეციის კომისიის რეკომენდაციაც ასეთი იყო და გვეგონა, რომ ეს ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდა და მეტ-ნაკლებად გათანაბრდა ოლქებში ამომრჩეველთა რაოდენობა. არ შეიძლება ერთ ადგილზე იყოს 5.000-ით არჩეული მაჟორიტარი და მეორე ადგილზე 120.000 ხმა ვერ გყოფნიდეს. ანუ დღეს არსებულ სისტემას კიდევ უფრო აუარესებენ.

ბუნებრივია, ოპოზიცია გამოცდილია, ადეკვატურია, თვლა ვიცით და ანალიზიც. შესაბამისად, ამას არავინ დათანხმდება. ეს არის მათი ვირეშმაკობა. ისევ იგივე რაღაცის გათამაშება უნდათ, რაც თავის დროზე გაათამაშეს და ჩააგდეს პროპორციულზე გადასვლა.

***– გაჟღერდა იდეა 130/20-ზე. ამაზე თუ მოდის ხელისუფლება? რა ინფორმაციას ფლობთ?***

– ვერ გეტყვით, მაგრამ ეს 130/20-ზე არსებითად ცვლის სიტუაციას. ამაზე შეიძლება საუბარი, მსჯელობა და შეთანხმება. თუ ხელისუფლება პროპორციული არჩევნებით იღებს 40%-ზე მეტს და 20 მაჟორიტარსაც, ამ შემთხვევაში მას ექნება შესაძლებლობა, რომ ჩამოაყალიბოს მთავრობა.

***– ამაზე თუ წამოვლენ, მაგრამ არ დათანხმდებიან პოლიტპატიმრების თემას, მაშინ რა პასუხი გექნებათ ოპოზიციას?***

– ასეთ შემთხვევაში არსებითად ვერ განიმუხტება სიტუაცია, მაგრამ პოლიტიკური პარტიები მზად არიან, პარლამენტში წარმოდგენილი ოპოზიციური პარტიები მზად არიან, რომ ასეთ სისტემას მხარი დაუჭირონ. მაგრამ, არსებითად ეს ვერ განმუხტავს პოლიტიკურ სიტუაციას და პოლიტიკურ კრიზისს. სანამ რეჟიმს ჰყავს პოლიტპატიმრები, ბუნებრივია, ეს ვერ ჩაითვლება სიტუაციის საბოლოო განმუხტვად. თუმცა, ვიმეორებ, ასეთ შემთხვევაში საარჩევნო სისტემა პროპორციულს მეტად დაუახლოვდება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მაჟორიტარული ოლქები შედგეს ისე, რომ ამომრჩეველთა პროპორციები იყოს გათვალისწინებული.

***– ასეთი ცნობები ჩნდება, რომ შესაძლოა 4 აპრილის აქცია კორონავირუსის გამო გადაიდოს. განიხილება ეს თემა?***

– თუ პანდემიური ხასიათი მიეცა, თუ გაგრძელდა და პროგრესირებადი გახდა ინფიცირებულთა რაოდენობა და, ასე ვთქვათ, ინფექციური აფეთქება მოხდა ქვეყანაში, ბუნებრივია, რომ ჩვენ არ გვაქვს უფლება, თუნდაც ერთი ადამიანი დავაყენოთ საფრთხის წინაშე.

# სახელმწიფომ ლევან გაჩეჩილაძის ღვინის კომპანია 7 მილიონი ლარით დააფინანსა

თავისუფლების მონიტორის ინფორმაციით, საპარტნიორო ფონდმა ლევან გაჩეჩილაძის ღვინის კომპანიის იდეა 7 მილიონი ლარით დააფინანსა. სახელმწიფოს კუთვნილმა ფონდმა ლევან გაჩეჩილაძესთან საიდუმლო კონტრაქტი დადო, რომლის მიხედვითაც, კომპანიის გამოსყიდვის უპირატესობა სწორედ მას აქვს. საპარტნიორო ფონდმა კომპანია გლობალ ბრენდი 2017 წლის 6 მარტს დააარსა. საპარტნიორო ფონდის დირექტორი დავით საგანელიძეა, რომელიც ლევან გაჩეჩილაძის მეგობარი და ძველი თანაპარტიელია.

გლობალ ბრენდის მიზანი ღვინის ახალი ბრენდის წარმოება და მისი აშშ-ში რეალიზაციაა. სახელმწიფოს მიერ კომპანიისთვის გამოყოფილი დაფინანსებიდან მილიონი ლარი საქართველოს კულტურისა და ხალხის არსში ჩასაწვდომად დაიხარჯა. რამდენიმე მილიონი ლარი დაიხარჯა ბოთლის დიზაინზე და ბაზრის კვლევისთვის.

ამავე დაფინანსებით შეიქმნა ბრენდის ისტორია და კომპანიის წარმოებული ღვინის დაკარგული ედემის სარეკლამო რგოლი.

აშშ-ის ბაზრის ათვისება კომპანიას ორი წლის წინ უნდა დაეწყო, თუმცა პროცესი ჯერაც არ დაწყებულა. კომპანიის დირექტორი, ტარიელ ჩიჩუა, რომელიც თანამდებობაზე ლევან გაჩეჩილაძის რეკომენდაციით დაინიშნა, ამბობს, რომ ბაზარზე შესვლის პროცესი გაცილებით უფრო რთული და კომპლექსური აღმოჩნდა, ვიდრე ეგონათ და სწორედ ეს გახდა დაგვიანების მიზეზი.

ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოდან აშშში ექსპორტირებული ღვინის რაოდენობა 198 ათასი ლიტრიდან 500 ათას ლიტრამდე გაიზარდა. გასულ წელს აშშ-ში ღვინო ექსპორტზე 330 კომპანიამ თუ კერძო პირმა გაიტანა, თუმცა მათ რიცხვში ვერ მოხვდა სახელმწიფოს მიერ ამ მიზნით 7 მილიონით დაფინანსებული კომპანია. ამ დროისთვის, ლევან გაჩეჩილაძე აშშ-ის ბაზარზე შესვლისთვის საჭირო სარეკლამო კამპანიის დასაფინანსებლად კიდევ 2 მილიონი დოლარის დაფინანსებას ითხოვს.

ჯობსმა ეძება, ეძება, – არავინ არ აფინანსებდა, საბოლოოდ იპოვა დამფინანსებელი და დღეს პირველი კომპანია არის Apple, – აცხადებს ლევან გაჩეჩილაძე.

ლევან გაჩეჩილაძე ამ დროისთვის კომპანიის კონსულტანტის პოზიციას იკავებს. 2018 წელს ეკონომიკის მაშინდელმა მინისტრმა, გიორგი ქობულიამ კერძო აუდიტორულ კომპანიას საპარტნიორო ფონდის პროექტები შეაფასებინა. აუდიტის მიხედვით, კომპანია გლობალ ბრენდი ყველაზე დაბალ, D კატეგორიაში მოხვდა, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ამ პროექტიდან მოგებას სრულად სავარაუდოდ ვერ ამოიღებს.

ხელშეკრულების მიხედვით, პროექტის წარმატების შემთხვევაში, ლევან გაჩეჩილაძეს მისი გამოსყიდვა შეუძლია, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში, ზარალი საპარტნიორო ფონდის, ანუ სახელმწიფოსი იქნება.

სახელმწიფომ აიღო რისკი, კი ბატონო, მაგრამ ეს რისკი არის ასაღები თუ გინდა, რომ შენმა მოსახლეობამ კარგად იცხოვროს, ესეთი რისკები ასაღებია და ეს არის სწორი რისკი, – ამბობს ლევან გაჩეჩილაძე.



# „წისქვილკომბინატები ზარალზე ვმუშაობთ“ – მოსალოდნელია თუ არა ფქვილის გაძვირება

„დღეის მდგომარეობით წისქვილკომბინატები ზარალზე ვმუშაობთ“ – წისქვილკომბინატ „ბარაქას“ დირექტორი „კომერსანტთან“ საერთაშორისო ბაზარზე ხორბლის ფასის გაძვირებასა და, შესაბამისად, ფქვილზე ფასის მატების ტენდენციაზე საუბრობს.

როგორც ცნობილია, საერთაშორისო ბაზარზე ოქტომბრიდან მოყოლებული დღემდე, ხორბლის ფასი 30 დოლარით გაძვირდა, რაც 84 ლარს უდრის.

„კომერსანტი“ დაინტერესდა წისქვილკომბინატების პოზიციით ფქვილის გაძვირებასთან დაკავშირებით. „ბარაქას“ დირექტორი ლადო ბიძინაშვილი კითხვაზე, თუ რითაა გამოწვეული ფქვილის გაძვირება საქართველოში, პასუხობს, რომ აღნიშნული კომბინატი არსებული მარაგების ხარჯზე ცდილობს, გაძვირება მინიმუმამდე მიიყვანოს, თუმცა ხორბლის ფასი მზარდია და სამომავლოდ შესაძლოა ფქვილის ფასიც კვლავ გაიზარდოს.

– საერთაშორისო ბაზარზე ცვლილების გათვალისწინებით, წისქვილკომბინატებს მოგვიწია ფქვილის ფასი გაგვეძვირებინა, მაგრამ ეს გაძვირება ჩვენი მხრიდან მიზერული იყო. ამ პერიოდში საქართველოში ფქვილის ფასი გაძვირებულია 2-3 ლარით, რაც 1 ტონაზე რომ გადავიანგარიშოთ, 40-60 ლარია. ამ პერიოდისთვის არსებული მარაგების ხარჯზე შევძელით ფასის გაძვირება მინიმუმამდე დაგვეყვანა, მაგრამ ხორბლის ფასი არსებული მონაცემებით მზარდია და თუ ასე გაგრძელდა, მოსალოდნელია, რომ ფქვილის ფასი კიდევ გაძვირდეს. ჩვენც, როგორც ყველა ბიზნესოპერატორი, წარმოვადგენთ კომერციულ ორგანიზაციას და დამოკიდებულები ვართ ნედლეულის ფასზე, – ამბობს ლადო ბიძინაშვილი.

რა ბერკეტები არსებობს იმისთვის, რომ ადგილობრივად ფქვილისა და შემდგომში პურის ფასის გაძვირება თავიდან ავიცილოთ და ბაზარმა დიდი დარტყმა არ მიიღოს, ლადო ბიძინაშვილი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მხრიდან მოცემული დარგის სწორი ანალიზი და სისტემური მხარდაჭერა უნდა განხორციელდეს წისქვილკომბინატებზე, რომ საიმპორტო ბაზრებზე მოსავლის პერიოდში მაქსიმალურად დიდი მარაგები შეიქმნას საქართველოში იაფფასიანი ხორბლის.

– გაძვირების თავიდან აცილება შეიძლება მოხერხდეს იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მოხმარების მთლიან წლიურ რაოდენობას შევიძენთ მოსავლის აღების პერიოდში, როცა ხორბლის ფასი ყველაზე დაბალია და მთელი წლის განმავლობაში მომავალ მოსავლამდე ერთი და იგივე ფასი გვექნება. მაგრამ ამას ვერც ერთი კომერციული ორგანიზაცია ვერ გააკეთებს გამომდინარე იქიდან, რომ ყველა ორგანიზაციას თითქმის 1-2 თვის სამყოფი მარაგის საბრუნავი საშუალება გააჩნია მხოლოდ და დამატებით ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ფაქტიურად შეზღუდულია ამ დარგისთვის.

ერთადერთი გამოსავალი ამ კუთხით იქნება, თუ სახელმწიფო ჩაერთვება თამაშში და გარკვეულ სისტემურ გადაწყვეტილებას მიიღებს წისქვილკომბინატების მხარდასაჭერად, მაგალითად, დაგვეხმარება საბრუნავი საშუალების შევსებაში, – აღნიშნავს წისქვილკომბინატი „ბარაქას“ დირექტორი.

ცნობისთვის, საქართველო ყოველწლიურად 800 ათას ტონა ხორბალს მოიხმარს. ადგილობრივი ხორბლის წარმადობა მხოლოდ 150-200 ათას ტონას უტოლდება.



# ლავას ოღლი საქართველოს და თურქეთს სტრასბურში უჩივლებს

ე.წ. კანონიერი ქურდის, მინდია გორაძის (ლავას ოღლის) ადვოკატის გელა ნიკოლაიშვილის განცხადებით, დაკავებულის ადვოკატები აპირებენ სტრასბურის ადამიანის უფლებათა სასამართლოში საჩივრის შეტანას როგორც საქართველოს, ასევე თურქეთის წინააღმდეგ.

როგორც უფლებადამცველმა ჟურნალისტებს განუცხადა, 28 თებერვალს მინდია გორაძის საქართველოში ექსტრადიცია უნდა მომხდარიყო, თუმცა ის ისევ თურქეთის საპატიმროში დატოვეს.

– მინდია გორაძის დაპატიმრების ვადა თურქეთში იყო 28 თებერვლამდე, ამის შემდეგ ის უნდა გადმოეცათ საქართველოსთვის და უნდა მომხდარიყო მისი ექსტრადიცია. ეს ადამიანი თურქეთში ერთ წელიწადზე მეტია იმყოფება პატიმრობაში და თურქეთის ხელისუფლებას მასთან არანაირი პრობლემა არ აქვს.



ერთადერთი მიზეზი, რისთვისაც ის პატიმრობაში იმყოფება, ეს არის საქართველოში მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი.

28 თებერვალს ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი განათავსეს სადეპორტო განყოფილებაში და ელოდებოდნენ, რომ საქართველოს ხელისუფლება წამოიყვანდა მას საქართველოში. 29 თებერვალს ჩაატარეს სასამართლო. მისი თურქი ადვოკატის დაუსწრებლად მიიღეს გადაწყვეტილება დაპატიმრების შესახებ და მოათავსეს ისევ ციხეში.

ჩვენ ამას თურქ კოლეგებთან ერთად სამართლებრივ შეფასებას მივცემთ და ვაპირებთ, სტრასბურის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში ვუჩივლოთ როგორც თურქეთის სახელმწიფოს, ასევე საქართველოს იმის გამო, რომ მისი, როგორც საქართველოს მოქალაქის, უფლებები არის უხეშად დარღვეული და შელახული.

ის საპატიმროში მოათავსეს იმის გამო, რომ სადეპორტოში გადაყვანის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ დროულად არ წამოიყვანა. თურქეთის კანონმდებლობა მათ საშუალებას აძლევს, ასე უვადოდ ჰყავდეთ პატიმრობაში საექსტრადიციო პირი, – განაცხადა გელა ნიკოლაიშვილმა.

# საქართველოს აეროპორტებში საველე კარვები დამონტაჟდა

## შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება



საქართველოს მთავრობის უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ქვეყანაში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, საქართველოს მასშტაბით, სახმელეთო სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებსა და სამივე აეროპორტში, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საველე კარვები დამონტაჟდა, სადაც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მაღალი რისკის ზონებად განსაზღვრული ქვეყნებიდან შემოსული მგზავრები სპეციალურ დაწესებულებაში გადაყვანამდე განთავსდებიან.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მაღალი რისკის ზონებად განსაზღვრული ქვეყნებიდან შემოსული მგზავრები თერმოსკრინინგისა თუ სხვა შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ, მოსაცდელი დარბაზის ნაცვლად, ნახევრად თერმულ, თანამედროვე სტანდარტების შესაბამის კარვებში განთავსდებიან.

კარავში მუდმივად იმორიგევებს სამედიცინო პერსონალი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრების მართვისა და კოორდინირების მთავარი სამმართველოს თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით, სასაზღვრო გამტარ პუნქტებში, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მაღალი რისკის ზონებად განსაზღვრული ქვეყნებიდან შემოსული მგზავრების შემოწმებას 24 საათის განმავლობაში ახდენენ.

მგზავრის გადაადგილების შესახებ წინასწარი ინფორმაციის და მონაცემების დამუშავების გარდა, მესაზღვრეების მიერ, მოგზაურობის ისტორიიდან გამომდინარე, ადგილზე ხდება მოქალაქის გადამოწმება და პირველადი რისკის განსაზღვრა. დამატებითი რეაგირების მიზნით, რისკის მატარებელი მგზავრის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება ადგილზე მყოფ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის და საგანგებო სამსახურის წარმომადგენლებს.

# თბილისში პატრულის დაჭრისთვის 2 პირი ქუთაისში დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოსა და იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის საუბნო სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი ორი პირი – 1989 წელს დაბადებული ი.გ. და 1989 წელს დაბადებული ი.ქ. ქუთაისში დააკავეს. დაჭრილი შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელია, თუმცა ინციდენტის დროს არ ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას.

„ი.გ.-ს ბრალად ედება განზრახ მკვლელობის მცდელობა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარება, ხოლო ი.ქ.-ს კი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობა. დანაშაულები 7-დან 15 წლამდე და 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ი.გ.-მ თბილისში, კარლო ჩხეიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, სიტყვიერი შელაპარაკების ნიადაგზე, 1998 წელს დაბადებულ დ.ნ.-ს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან თანმხლებ პირთან – ი.ქ.-სთან ერთად მიიმალა.

დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას გადაუდებელი სამედიცინო დახმარება გაეწია. დ.ნ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. დ.ნ. შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელია, თუმცა ინციდენტის დროს არ ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორივე ბრალდებული ქუთაისში, მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს.

გამოძიება ი.გ.-ს მიმართ განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 19-108 მუხლის 1-ელი ნაწილით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, ხოლო ი.ქ.-ს მიმართ – განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს" – ნათქვამია ინფორმაციაში.



# რა ქონებას ფლობს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი



მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა ნათია მეზვრიშვილმა, აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობის სანაცვლოდ, ხელფასის სახით 3 თვეში 25.937 ლარი მიიღო. ამის შესახებ მის მიერ, მიმდინარე წლის თებერვალში შევსებულ ქონებრივ დეკლარაციაშია აღნიშნული.

შეგახსენებთ, რომ ნათია მეზვრიშვილი მანამდე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის პოსტს იკავებდა. დეკლარაციის მიხედვით, აღნიშნულ თანამდებობაზე, 8 თვეში, 2019 წლის 1-ელი იანვრიდან 8 სექტემბრამდე, ხელფასის სახით 56.806 ლარი აიღო.

რაც შეეხება მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უძრავ-მოძრავ ქონებას, ნათია მეზვრიშვილის სახელზე მხოლოდ ერთი სახლია რეგისტრირებული. კერძოდ, 2014 წელს, 48.000 დოლარად შეძენილი ბინა თბილისში.

ამასთან, ნათია მეზვრიშვილი დეკლარაციის შევსების მომენტში ფლობდა:

„ტერა ბანკის" სახელფასო ანგარიშზე – 1.890,16 ლარს, მიმდინარეზე – 27,08 ლარს.

ხოლო, „თი-ბი-სი ბანკის" სახელფასოზე – 650,65 ლარს.

ბპნ.გე

# სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე ორი პირი დააკავეს




საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე, ორი პირი დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლების მიზნით, თანამზრახველებთან ერთად, 1998 წლით დათარიღებული, მიწის ნაკვეთების მიღება-ჩაბარების აქტისა და სხვა ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, უკანონოდ დაირეგისტრირეს მიწის ნაკვეთი 3.460 კვ.მ. დღეისთვის მიწის ნაკვეთები დაყადაღებულია. დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დადგენა-მხილების მიზნით ტარდება შესაბამისი ღონისძიებები. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით.

# ბ.ჭ.-მ მოპედი მოიპარა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული ბ.ჭ., ქურდობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისში, მაქსიმ გორკის ქუჩაზე, ერთ-ერთი მოქალაქის კუთვნილი მოპედი მოიპარა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბ.ჭ. მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს.

პოლიციამ ბრალდებულის მიერ მოპარული და გადამალული მოპედი ნივთმტკიცებად ამოიღო. დაკავებული დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „დ" ქვეპუნქტით მიმდინარეობს, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ ჩადენილ ქურდობის ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.



# საქართველოში კორონავირუსის პრევენციისთვის მილიონი ლარი დაიხარჯება

საქართველოში კორონავირუსის პრევენციისთვის, პირველ ეტაპზე, მილიონი ლარი დაიხარჯება. მთავრობის 30 იანვრის განკარგულების მიხედვით, სარეზერვო ფონდიდან თანხა ჯანდაცვის სამინისტროს გამოეყო.

ამ თანხიდან 357.095 ლარი შემოსავლების სამსახურს გამოეყო და სახმელეთო საზღვრებზე კორონავირუსის პრევენციისთვის საჭირო მოწყობილობებს მოხმარდება, 135.367 ლარი კი – საქართველოს აეროპორტების გაერთიანებას. 2 მარტის მდგომარეობით, საქართველოში ლაბორატორიულად დადასტურებული კორონავირუსით ინფიცირების სამი შემთხვევაა. საქართველოში კარანტინში 97 ადამიანია, (ჯანდაცვის მინისტრი 120-ს ასახელებს) მათგან 40 სამედიცინო დაწესებულებებშია. გარდა ამისა, ლუგარის ლაბორატორიაში თბილისიდან, გორიდან და ქუთაისიდან გადასამოწმებლად სულ 14 სინჯია გადაგზავნილი.

# თბილისში ლიბერთი ბანკს თავს დაესხნენ




გუშინ, 2 მარტს, თბილისში, ელბაქიძის ქუჩაზე ლიბერთი ბანკს თავს დაესხნენ.

ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ.

სამართალდამცავთა თქმით, დაშავებული არავინაა, თუმცა ისინი არ საუბრობენ, დააკავეს თუ არა თავდამსხმელები ან რა რაოდენობის თანხაა წამებული.

ერთ-ერთი ვერსიით, ბანკზე შეიარაღებული თავდასხმა განხორციელდა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

2020, 3 მარტი, №52

# თურქეთიდან ევროკავშირის მიმართულებით 100.000 ადამიანი დაიძრა

თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრის თქმით, თურქეთის საზღვარი ბოლო დღეების მანძილზე დაახლოებით 100.000-მა მიგრანტმა დატოვა. სულეიმან სოილუს განცხადებით, მიგრანტები საბერძნეთის და ბულგარეთის საზღვრებისკენ გადაადგილდებიან.

სირიელი მიგრანტი, რომელიც თურქეთიდან საბერძნეთში მოხვედრას ცდილობდა, მიღებული დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა.

დაახლოებით 10.000 მიგრანტი შეეცადა სახმელეთო საზღვრის გადაკვეთას, რის გამოც, ბერძენმა მესაზღვრეებმა მათ წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს.

საბერძნეთის კუნძულ ლესბოსთან მიგრანტთა ნავი ამობრუნდა, რის შედეგადაც ერთი მცირეწლოვანი ბავშვი დაიღუპა.

საბერძნეთის ოფიციალური მონაცემებით, საბერძნეთის კუნძულებზე ამ დროისთვის სულ მცირე 1.000 მიგრანტი გადავიდა, ხოლო სახმელეთო საზღვრიდან ქვეყანაში შესვლას 10.000-ზე მეტი პირი ცდილობს.

— ეს ყველაფერი არის თურქეთის მიერ წახალისებული, — აცხადებს საბერძნეთის მთავ-




რობის პრესსპიკერი მედიასთან საუბრისას, — ეს არის პირდაპირი, სერიოზული, მწვავე და ასიმეტრიული საფრთხე ჩვენი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისადმი.

ამასთან, საბერძნეთი მიგრანტებს აფრთხილებს, ნუ ეცდებიან გადალახონ ქვეყნის საზღვრები, რადგან ისინი უმკაცრესად კონტროლდება.

თურქეთის პრეზიდენტის, რეჯეფ ტაიფ ერდოღანის თქმით, ქვეყანა არ დაუკეტავს საზღვარს მიგრანტებს, რომლებიც ევროპისკენ მიემართებიან.

— რეკავენ და გვეუბნებიან — ჩაკეტეთ საზღვრები. მე ვეუბნები: გვიანია. დასავლეთმა ლტოლვილებზე პასუხისმგებლობის ტვირთი უნდა გაინაწილოს. დღეს ჩვენ ბულგარეთის პრემიერს შევხვდებით, ხვალ გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს გავესაუბრები. დღის წესრიგშია სირიის საკითხზე სამიტის ჩატარება, — აღნიშნა ერდოღანმა.

თურქეთმა მიგრანტებისთვის საზღვრების გახსნის გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც სირიის იდლიბის პროვინციაში ასადის ჯარებმა და მისმა მოკავშირეებმა 33 თურქი სამხედრო მოკლეს.

ანკარა რამდენიმე თვის მანძილზე საუბრობდა, რომ იდლიბიდან დამატებით დევნილთა ნაკადს ველარ გაუმკლავდებოდა და საზღვრებს ევროპისკენ გახსნიდა. ამ დროის ინფორმაციით, თურქეთში 5 მილიონზე მეტი მიგრანტი იმყოფება.

## ფხენიანმა იაპონიის მიმართულებით 2 რაკეტა გაუშვა



ჩრდილოეთ კორეამ იაპონიის მიმართულებით დაუდგენელი ტიპის 2 რაკეტა გაუშვა.

ინფორმაციას სამხრეთ კორეა ავრცელებს.

სეულში აცხადებენ, რომ რაკეტების სავარაუდო ფრენის მანძილი 240 კილომეტრია, ხოლო ფრენის სიმაღლე — 35 კილომეტრი. ქვეყანაში მიაჩნიათ, რომ რაკეტების გაშვება ფხენიანის სამხედრო წვრთნების ნაწილია, რომელიც პარასკევს დაიწყო. 2020 წელს ეს ჩრდილოეთ კორეის პირველი სარაკეტო გამოცდაა. გასულ წელს ქვეყნის ლიდერმა, კიმ ჩენ ინმა განაცხადა, რომ ქვეყანა სტაბილურად განავითარებს ბირთვულ იარაღსა და ბალისტიკურ რაკეტებს, ვიდრე ვაშინგტონი სამტრო პოლიტიკას არ მოეშვება.

## სამხრეთ კორეაში კორონავირუსის გავრცელებას რელიგიურ ჯგუფს აბრალებენ

სამხრეთ კორეის დედაქალაქში ადგილობრივი რელიგიური ჯგუფის ლიდერების წინააღმდეგ საქმე აღიძრა.

საქმის პროკურორები აცხადებენ, რომ ერთ-ერთი რელიგიური სექტის ლიდერებმა, სადაც პირველად კორონავირუსის გავრცელება მოხდა, არ ითანამშრომლეს შესაბამის სტრუქტურებთან, რის გამოც ვირუსი მთელ ქვეყანაში გავრცელდა.

სეულის მერი აცხადებს, რომ ამ პირებს ზუსტი და დროული ინფორმაცია რომ მიეწოდებინათ, ეფექტური ზომები გატარდებოდა იმ ადამიანთა დასაცავად, ვინც მოგვიანებით ვირუსით დაიღუპა.

ოფიციალურ პირებს მიაჩნიათ, რომ რელიგიური ჯგუფის წევრებმა ერთმანეთი დააინფიცირეს, რამაც ქვეყანაში კორონავირუსის ფართო გავრცელება გამოიწვია.

სამხრეთ კორეის რელიგიური ჯგუფის ლიდერმა, ლი მე ჰიმ, პირდაპირ ეთერში ბოდიში



მოიხადა და ქვეყნის მოსახლეობას პატიება სთხოვა.

— მიუხედავად იმისა, რომ ეს განზრახული არ იყო, ბევრი ადამიანი დაინფიცირდა. ჩვენ ყველაფერს ვეცადეთ, მაგრამ ვერ შევძელით მისი შეჩერება. პატიებას გთხოვთ, — განაცხადა ლი მე ჰიმ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## წყვილი საცხოვრებელი ადგილის შეცვლის დროს გამდიდრდა

კანადის ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციის მკვიდრმა წყვილმა მომგებიანი ლატარიის ბილეთი კინაღამ საწყობში შესანახად გაუშვა, როდესაც საცხოვრებელი ადგილის შესაცვლელად ემზადებოდნენ.

რობერტ უოლტერსი და ლოის გერეტი ქალაქ აგასიისიდან ქალაქ ჩილივაკში გადასვლის წინ ბარგს კრავდნენ. კარადაში დადებული ხელუხლებელი მომენტალური ლატარიის ბილეთი იმ კოლოფში აღმოჩნდა, რომლის წყვილი საწყობში გადატანასა და იქ მრავალი თვით დატოვებას აპირებდა.

უოლტერსმა ბილეთი შენიშნა და ის გერეტს მისცა, რათა მას დამცავი ფენა გადაეფხიკა და შეემოწმებინა. ბილეთმა წყვილს 500 ათასი კანადური დოლარის (375,5 ათასი ამერიკული დოლარი) მოგება მოუტანა. მათი თქმით, ისინი კიდევ ერთხელ გეგმავენ საცხოვრებელი ადგილის შეცვლას.

— ზოგიერთ ვალებს გავისტუმრებთ, ამავე დროს, კიდევ ერთხელ გადაბარგებაზე დავფიქრდებით, ამჯერად სადმე ისეთ ადგილას, სადაც საკუთარი მიწა გვექნება, — განაცხადა უოლტერსმა.

## ცოლმა ქმარი ქორწილის იუბილეზე დაღუპა

ინგლისის ნორტ-იორკშირის საგრაფოს მკვიდრი ამერიკის არიზონის შტატში გრანდ-კანიონის თავზე პარაშუტით გადმოხტომის დროს დაიღუპა.

55 წლის კრისტოფერ სუეილსი 2019 წლის სექტემბერში თავის 53 წლის მეუღლე დებორასთან ერთად აშშ-ში ისვენებდა. მათი ქორწინების 30 წლის იუბილეზე მეუღლემ ქმარს გრანდ-კანიონის თავზე პარაშუტით გადმოხტომის საჩუქარი გაუკეთა და დაღუპა.

ბრიტანელი პარაშუტით ხტომების ინსტრუქტორთან ერთად გადმოხტა და სასიკვდილოდ დაიმტვრა. ინსტრუქტორი ცოცხალი გადარჩა. მან მხოლოდ ფეხი მოიტეხა.

აშშ-ის პოლიციაში განაცხადეს, რომ თითქოსდა სუეილსს დახვრეტილი პარაშუტი მისცეს, რომელზეც ნახვრეტები სპეციალური კალმით იყო შემოხაზული. ამის მიუხედავად, ამერიკის პოლიციის დასკვნით, ბრიტანელი უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა.

კომპანია „პარაგონის“ წარმომადგენლის თქმით, რომელიც პარაშუტით ხტომებით არის დაკავებული, მათი მთელი მოწყობილობა 100 პროცენტით გამართულ მდგომარეობაში იყო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## „ყველაზე იღბლიანი ადამიანი“ სიკვდილს ათჯერ გადაურჩა

ინგლისის დევონშირის საგრაფოს ქალაქ პლიმუთის მკვიდრი მამაკაცი „დღეისათვის ცოცხალ ადამიანებს შორის ყველაზე იღბლიანად“ დაასახელეს მას შემდეგ, რაც ის ათჯერ გადაურჩა დაღუპვას.

37 წლის უეს გრანტი ბავშვობიდან ხვდებოდა ისეთ ექსტრემალურ სიტუაციებში, რომლებიც მას, შესაძლოა, სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა. ბავშვობაში ის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ველოსიპედით სეირნობდა, როდესაც მოულოდნელად მის საჭეს გადაევლო და სამანქანო გზაზე აღმოჩნდა. როდესაც გრანტი 16 წლის იყო, ბანაკში ხანძარში მოყვა და ისე ძლიერ დაეწვა ფეხები, რომ ხელმეორედ მოუხდა სიარულის სწავლა.

17 წლისამ სახის სერიოზული დამწვრობა მიიღო მოულოდნელად აალებული დეზოდორანტის წყალობით. შემდეგ გრანტმა იმისთვის, რომ ფული გამოემუშავებინა, პირიდან ცეცხლის გამოტყორცნის ილეთი ისწავლა, მაგრამ შეცდომამ და ცუდმა საწვავმა ახალი დამწვრობები მოუტანა.

ერთხელ გრანტმა გვერდით ჩაუარა საეჭვო მანქანას და გამტაცებელმა ის ექვსკუთხა დიდი გასაღებით დაჭრა. მას ჭრილობა ბეჭის არეში მიაყენეს და მისი ფილტვები სასწაულებრივად გადაურჩა დაზიანებას. ერთხელაც მას ბოროტმოქმედებმა ესროლეს.

2006 წელს გრანტი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გაემგზავრა, რათა სამეფო საზღვაო ფეხოსანი გამხდარიყო. ის ორჯერ გაგზავნეს ავღანეთის გილმენდის პროვინციაში, სადაც თალიბების მიერ გახსნილი ტყვიების წვიმაში მოყვა.

სამეფო საზღვაო ფეხოსნად მსახურობის დროს გრანტმა გულის შეტევა გადაიტანა და



რვა თუ ცხრა საათით მხედველობა დაკარგა. აღმოჩნდა, რომ მას თრომბი ჰქონდა, რომელმაც გულში გაიარა და კისრამდე მიაღწია. სისხლის მიმოქცევის შეზღუდვამ მხედველების დაქვეითება გამოიწვია. მას ოპერაცია გაუკეთდა. ექიმები მისი გადარჩენის შანსს 50-50-ზე აფასებდნენ.

საზღვაო ქვეითის კარიერის ბოლო წელს გრანტი აეროდრომზე ინსტრუქტორად მუშაობდა. მან 260-მდე ნახტომი განახორციელა პარაშუტით და ერთხელ დაღუპვას გადაურჩა მას შემდეგ, რაც ჰაერში ორი დამჭერი თოკი გაუწყდა.

2013 წელს მან სამხედრო სამსახურს თავი დაანება და მეკობრეებისგან ხომალდებისა და ტვირთების დაცვის სამსახურში დაიწყო მუშაობა, რამდენიმეჯერ დაჭრეს, მაგრამ გადარჩა.

შემდეგ ის პირად მცველად გადაკვალიფიცირდა და ცნობილი პიროვნებების, მაღალი თანამდებობის პერსონებისა და სამეფო ოჯახის წევრთა პირადი მცველობაც კი მოუხდა. ის ბოდიბილდინგში ვარჯიშობს და ქვეყნისა და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მფლობელია.

## ერთი წლის ბავშვი ძაღლზე დააქორწინეს

ინდოეთის ორისას შტატში ერთი წლის ბავშვი ძაღლზე დააქორწინეს, რათა ამით ის ავი სულებისგან დაეცვათ.

რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელებში გამოჩნდა კადრები, რომელზეც სანტალები



სოფელ ბარიანიდან ერთი წლის ბიჭის ძაღლზე დაქორწინებას ზეიმობენ. ვიდეოზე ღია ფერის კოსტიუმებში გამოწყობილი ადამიანები მხიარულობენ და ცეკვავენ „ახლადშეუღლებულების“ გარშემო.

ტრადიციის თანახმად სანტალები ასეთ რიტუალს იმ შემთხვევაში ასრულებენ, თუ ჩვილ ბავშვს პირველი კბილი ზედა ღრძილზე გამოუვა.. ადგილობრივებს სჯერათ, რომ ამან შესაძლოა ბოროტი სულები მიიზიდოს, ამიტომ ისინი ბავშვის ძაღლზე დაქორწინების რიტუალს ასრულებენ და ზეიმობენ, რათა ბოროტი სულები დააშინონ და განდევნონ.

სანტალების უხუცესები ამტკიცებენ, რომ ასეთი ქორწილი უბრალოდ რიტუალია. ამიტომ, როდესაც ბავშვი გაიზრდება, მას შეუძლია ტრადიციულად იქორწინოს, ისე, რომ ძაღლთან განქორწინება არ გააფორმოს.


## განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ: 599-294-293.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● მაქვს „ერექტორები“. ის აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს, არ შეიგრძნობა და უტყუარია კონტაქტების დროს თვით სქესობრივად უძლურებშიც. მის შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასებში. ტელ: 2-99-95-33; 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

# უგოლი პირველი დღის შემდეგ შედევრებიც ვიხილეთ

**საბურთალო-ჩიხურა 2:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

**0:1 კორიფაძე (21პ), 1:1 ტაბატაძე (43), 2:1 გაბედავა (74)**

**საბურთალო:** კუპატაძე, მარგველაშვილი, გოშთელიანი (ყენია 46), გაბედავა, კოხრეიძე, ლაკვეხელიანი, ტერა, კაკუბავა (ჭიჭინაძე 35), ალთუნაშვილი, ლუმუ (ქავთარაძე 72), ი.ტაბატაძე

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, მაჩაიძე, კაშია, მამასახლისი, დეკანოიძე (ღავთაძე 77), გვაზავა, კახაბრიშვილი (ჩიკვაიძე 71), კიკაბიძე (მუჯირი 57), კორიფაძე, ნონიკაშვილი, ჯავაშვილი

საქართველოს სუპერთასის მფლობელმა საბურთალომ საჩხერის ჩიხურას უმასპინძლა და დაძაბულ შეხვედრაში 2:1 დაამარცხა. მატჩის მიმდინარეობიდან გამომდინარე, შედეგი სრულიად ლოგიკურია და დედაქალაქური გუნდი გამარჯვებას იმსახურებდა.

თავდაპირველად, სტუმრები დაწინაურდნენ, თუმცა შემდეგ საბურთალომ მოუმატა და პირველივე ტაიმში გაათანაბრა, ხოლო 74-ე წუთზე კი, გამარჯვების მომტანი გოლიც შეაგდო.

თბილისელებმა აქტიურად დაიწყეს და დებიუტშივე ჰქონდათ ანგარიშის გახსნის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა. განსაკუთრებით იური ტაბატაძეა გამოსარჩევი, რომელიც შესვენებამდე მომხდარ მოვლენებში თითქმის მუდმივად მონაწილეობდა. ჯერ მისი კუთხიდან დარტყმული ბურთი მოიგერია დინო ჰამზიჩმა. მალე კი სტუმრებმა თერთმეტმეტრიანის დარტყმის უფლება მოიპოვეს – ტაბატაძემ საჯარიმოში კახაბრიშვილი წააქცია, პენალტი ზუსტად კორიფაძემ შეასრულა. ეს გახლდათ ამ სეზონის პირველი გოლი ეროვნულ ჩემპიონატში.

ტაიმის მიწურულს ტაბატაძემ ანგარიში გაათანაბრა – ფლანგიდან ბურთს საჯარიმოში აწვდიდა, მრგვალი სფერო გზად ერთ-ერთ საჩხერელს მოხვდა, რამაც ჰამზიჩი დააბნია და კარში შევარდა.

მე-2 ტაიმის დებიუტში გიორგი გაბედავა გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ კარს ააცილა. ცოტა ხანში გიორგი კოხრეიძემ დაარტყა შორიდან, მაგრამ ჰამზიჩმა აუღო. საბურთალოს მასირებულმა შეტევებმა შედეგი 74-ე წუთზე გამოიღო, როდესაც კოხრეიძემ ლევან ყენიას გააყოლა ბურთი, ამ უკანასკნელმა საჯარიმოში ჩააწოდა და გიორგი გაბედავამ ერთი შეხებით გადაგზავნა კარში – 2:1.

მატჩის დასრულებამდე გაბედავას ერთხელად შეეძლო გატანა, მაგრამ ბურთი ხარიხას გაარტყა. საბოლოოდ მატჩი ამავე ანგარიშით დასრულდა და საბურთალომ წლეულს პირველი 3 ქულა ჩაიწერა აქტივში.

**ლოკომოტივი-სამტრედია 3:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

**0:1 ილურიძე (3), 1:1 კირკიტაძე (30), 2:1 სიხარულიძე (35პ), 3:1 სიხარულიძე (40)**

**ლოკომოტივი:** შეროზია, გურეშიძე, ჭანტურია, გაბაძე, უბილავა, დარცმელია, შონია (იაკობიძე 90), სამურკასოვი (ანდრონიკაშვილი 84), კირკიტაძე, კობახიძე (შეყილაძე 73), სიხარულიძე



**სამტრედია:** სეფიაშვილი, საჯაია (რუხაია 67), ინკუმი, ჯგერენაია, კვირკვია, ქოჩლაძე, პავიშიჩი (ყურბანოვი 76), კერძევაძე (დისი 46), სამბუ, ილურიძე, ღირდალაძე

ლევან კორღალიძის გუნდმა შესანიშნავი მატჩი ჩაატარა. მიუხედავად იმისა, რომ თბილისელებმა გოლი საკუთარ კარში მატჩის დებიუტშივე, მე-3 წუთზე გაუშვეს, გუნდმა გადაწყობა და საბრძოლოდ განწყობა მალევე შეძლო და პირველივე ტაიმში მშვენიერი „ქამბექი" შემოგვთავაზა.

სამტრედიელთა გოლი კი მშვენიერი სანახავი იყო – საჯარიმოში შექმნილი არეულობის შემდეგ სტრაჰინია პავიშიჩისგან ბურთი გიორგი ილურიძისკენ წავიდა, რომელმაც „მაკრატელა" დარტყმით გაუტანა შეროზიას.

გაშვებული გოლის შემდეგ, ლევან კორღალიძის გუნდი ნამდვილი ლოკომოტივივით დაიქოქა და მეტოქის კარზე მასირებული შეტევები დაიწყო.

გამოსარჩევია მე-19 წუთზე, საჯარიმოს ხაზიდან ბექა დარცმელიას უძლიერესი დარტყმა, რომელიც სამტრედიელთა მეკარემ მოიგერია; შემდეგ იყო თემურ შონიას თავური და სეფიაშვილმა ისევ იყოჩაღა; ამასობაში კი, თბილისელებმა ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს. პოზიციური შეტევა სამტრედიელთა საჯარიმოში დარცმელიას ჩაწოდებით გაგრძელდა, რომელსაც სწორ ადგილას დაუხვდა დათო კირკიტაძე და მეკარეს შანსი არ დაუტოვა – 1:1.

5 წუთის შემდეგ, სამურკასოვმა ფლანგზე ჩაირბინა, მეტოქის 2 ფეხბურთელი ჩამოიტოვა და საჯარიმოში შესული წაიქცა. მსაჯმა პენალტი დანიშნა, მაგრამ შეცდომა დაუშვა – ლოკომოტიველთა ნახევარმცველი საკუთარი ინიციატივით წაიქცა. 11 მეტრიდან ირაკლი სიხარულიძე ზუსტად დაჰკრა – 2:1.

პირველ ტაიმში ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. თერთმეტმეტრიანის გატანიდან ზუსტად 5 წუთში, სიხარულიძემ დუბლის შესრულება შეძლო. გოლიც არის და გოლიც – ლოკოს შემტევმა შედევრი შექმნა – სიხარულიძემ ეს ისე ეფექტურად, აკრობატულ ნახტომში გააკეთა, რომ ხელს ნებისმიერი ფეხბურთელი მოაწერდა.

ლოკომოტივმა ტაიმი 3:1 მოიგო და შესვენების შემდეგ ტემპი შეანელა, მაგრამ მატჩის მიმდინარეობას კვლავ თბილისელები აკონტროლებდნენ. ანგარიში კი, აღარ შეცვლილა, მიუხედავად იმისა, რომ გუნდებმა მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტების შექმნა შეძლეს.

**ტორპედო-დილა 0:2**

**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

**0:1 სპანდერაშვილი (13), 0:2 მანდინგა (89)**

**ტორპედო:** ბულისკერია, ვ.ტაბატაძე, მირცხულავა, კასრაძე (ადამაძე 53), ნადარაია, ძარია, ბობკო, ჯანელიძე, ივანიშვილი (შარვაშიძე 75), ციცქიშვილი, ფანცულაია (კვერნაძე 67)

**დილა:** გუგეშაშვილი, ლაცაბიძე, ხურცილავა, მაისაშვილი, ჩიტეიშვილი (ა.სანტოსი 44), იენდუნტი, გორგიაშვილი (მანდინგა 67), გაგნიძე, ბიძინაშვილი, სპანდერაშვილი (გიგაური 90), კოვტალიუკი

ცნობილი მიზეზების გამო, ქუთაისის ტორპედომ შეკრება სულ 10 დღის წინ დაიწყო და ამიტომაც გასაკვირი არ იყო, რომ ამ შეხვედრის ფავორიტებად გორელები მიიჩნეოდნენ. რიონისპირელები მთელი მატჩის განმავლობაში ბურთს კი აკონტროლებდნენ და ამ მხრივ დიდი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ სახიფათო მომენტი სულ ერთხელ შექმნეს, როდესაც ვაჟა ტაბატაძის შორიდან დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა.

მომენტები დილას უფრო მეტი ჰქონდა, მაგრამ სულ 2-ჯერ გამოიყენა – მე-13 წუთზე ნუგზარ სპანდერაშვილმა თავურით გახსნა ანგარიში, ხოლო შეხვედრის დასასრულს მიკოლა კოვტალიუკის პასით ფრანცისკო მანდინგამ გაუტანა დემეტრე ბულისკერიას.

## შედეგები

### 1 მარტი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ტოტენჰემი-ვულვზი ...................... 2:3
ევერტონი-მანჩესტერი .................. 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 28 | 26 | 1 | 1 | 64-20 | 79 |
| 2.სიტი | 27 | 18 | 3 | 6 | 68-29 | 57 |
| 3.ლესტერი | 27 | 15 | 4 | 8 | 54-28 | 49 |
| 4.ჩელსი | 28 | 13 | 6 | 9 | 47-39 | 45 |
| 5.მანჩესტერი | 28 | 11 | 9 | 8 | 42-30 | 42 |
| 6.ვულვზი | 27 | 10 | 11 | 6 | 41-34 | 41 |
| 7.ტოტენჰემი | 28 | 11 | 7 | 10 | 46-39 | 40 |
| 8.შეფილდი | 27 | 10 | 10 | 7 | 29-25 | 40 |
| 9.ბარნლი | 28 | 11 | 5 | 12 | 33-39 | 38 |
| 10.არსენალი | 27 | 8 | 13 | 6 | 39-36 | 37 |
| 11.ევერტონი | 28 | 10 | 7 | 11 | 37-42 | 37 |
| 12.კრ.პალასი | 28 | 9 | 9 | 10 | 25-32 | 36 |
| 13.საუთჰემპტონი | 28 | 10 | 4 | 14 | 35-51 | 34 |
| 14.ნიუკასლი | 28 | 8 | 8 | 12 | 24-41 | 32 |
| 15.ბრაიტონი | 28 | 6 | 10 | 12 | 32-40 | 28 |
| 16.ბორნმუთი | 28 | 7 | 6 | 15 | 28-45 | 27 |
| 17.ვესტ ჰემი | 28 | 7 | 6 | 15 | 35-49 | 27 |
| 18.უოტფორდი | 28 | 6 | 9 | 13 | 27-43 | 27 |
| 19.ასტონვილა | 27 | 7 | 4 | 16 | 34-52 | 25 |
| 20.ნორვიჩი | 28 | 5 | 6 | 17 | 25-51 | 21 |

**ინგლისი. ლიგის თასი**

**ფინალი**

ასტონ ვილა-სიტი .......................... 1:2

**გერმანია ბუნდესლიგა**

უნიონი-ვოლფსბურგი ................... 2:2
ლაიფციგი-ლევერკუზენი ............. 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 24 | 16 | 4 | 4 | 71-26 | 52 |
| 2.ლაიფციგი | 24 | 14 | 7 | 3 | 62-26 | 49 |
| 3.დორტმუნდი | 24 | 14 | 6 | 4 | 66-32 | 48 |
| 4.გლადბახი | 23 | 14 | 4 | 5 | 46-27 | 46 |
| 5.ლევერკუზენი | 24 | 13 | 5 | 6 | 41-30 | 44 |
| 6.შალკე | 24 | 9 | 9 | 6 | 32-35 | 36 |
| 7.ვოლფსბურგი | 24 | 9 | 8 | 7 | 34-30 | 35 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 24 | 10 | 4 | 10 | 34-42 | 34 |
| 9.ფრაიბურგი | 24 | 9 | 6 | 9 | 31-34 | 33 |
| 10.უნიონი | 24 | 9 | 3 | 12 | 31-38 | 30 |
| 11.კიოლნი | 23 | 9 | 2 | 12 | 36-42 | 29 |
| 12.აინტრახტი | 23 | 8 | 4 | 11 | 37-37 | 28 |
| 13.აუგსბურგი | 24 | 7 | 6 | 11 | 36-50 | 27 |
| 14.ჰერტა | 24 | 7 | 6 | 11 | 30-46 | 27 |
| 15.მაინცი | 24 | 8 | 1 | 15 | 33-52 | 25 |
| 16.ფორტუნა | 24 | 4 | 6 | 14 | 24-51 | 21 |
| 17.ვერდერი | 23 | 4 | 5 | 14 | 25-53 | 17 |
| 18.პადერბორნი | 24 | 4 | 4 | 16 | 29-52 | 16 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

არმინია-ვიზბადენი ......................... 1:0
ბოხუმი-ზანდჰაუზენი .................... 4:4
ზ.პაული-ოსნაბრიუკი .................... 3:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სევილია-ოსასუნა ............................ 3:2
ბილბაო-ვილიარეალი ..................... 1:0
ესპანიოლი-ატლეტიკო .................. 1:1
მალიორკა-ხეტაფე ......................... 0:1
რეალი-ბარსელონა ......................... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 26 | 16 | 8 | 2 | 48-19 | 56 |
| 2.ბარსელონა | 26 | 17 | 4 | 5 | 62-31 | 55 |
| 3.სევილია | 26 | 13 | 7 | 6 | 37-27 | 46 |
| 4.ხეტაფე | 26 | 13 | 6 | 7 | 37-25 | 45 |
| 5.ატლეტიკო | 26 | 11 | 11 | 4 | 29-19 | 44 |
| 6.სოსიედადი | 25 | 13 | 4 | 8 | 43-31 | 43 |
| 7.ვალენსია | 26 | 11 | 8 | 7 | 37-38 | 41 |
| 8.ვილიარეალი | 26 | 11 | 5 | 10 | 43-36 | 38 |
| 9.გრანადა | 26 | 11 | 4 | 11 | 32-31 | 37 |
| 10.ბილბაო | 26 | 8 | 10 | 8 | 25-22 | 34 |
| 11.ლევანტე | 26 | 10 | 2 | 14 | 31-39 | 32 |
| 12.ოსასუნა | 26 | 7 | 10 | 9 | 33-38 | 31 |
| 13.ალავესი | 26 | 8 | 7 | 11 | 28-36 | 31 |
| 14.ბეტისი | 26 | 7 | 9 | 10 | 36-42 | 30 |
| 15.ვალიადოლიდი | 26 | 6 | 11 | 9 | 22-29 | 29 |
| 16.ეიბარი | 25 | 7 | 6 | 12 | 25-37 | 27 |
| 17.სელტა | 26 | 5 | 10 | 11 | 22-34 | 25 |
| 18.მალიორკა | 26 | 6 | 4 | 16 | 26-43 | 22 |
| 19.ლეგანესი | 26 | 4 | 8 | 14 | 19-40 | 20 |
| 20.ესპანიოლი | 26 | 4 | 8 | 14 | 23-45 | 20 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

მირანდდესი-ხირონა ....................... 1:1
დეპორტივო-ლუგო ......................... 0:0
ელჩე-ნუმანსია ............................... 2:0
ოვიედო-ტენერიფე ......................... 1:0
ფუენლაბრადა-ალკორკონი ........... 3:4

**იტალია. სერია ა**

ლეჩე-ატალანტა .............................. 2:7
კალიარი-რომა ................................ 3:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლაციო | 26 | 19 | 5 | 2 | 60-23 | 62 |
| 2.იუვენტუსი | 25 | 19 | 3 | 3 | 48-24 | 60 |
| 3.ინტერი | 24 | 16 | 6 | 2 | 49-22 | 54 |
| 4.ატალანტა | 25 | 14 | 6 | 5 | 70-34 | 48 |
| 5.რომა | 26 | 13 | 6 | 7 | 51-35 | 45 |
| 6.ნაპოლი | 26 | 11 | 6 | 9 | 41-36 | 39 |
| 7.მილანი | 25 | 10 | 6 | 9 | 27-32 | 36 |
| 8.ვერონა | 24 | 9 | 8 | 7 | 28-24 | 35 |
| 9.პარმა | 24 | 10 | 5 | 9 | 32-30 | 35 |
| 10.ბოლონია | 26 | 9 | 7 | 10 | 38-42 | 34 |
| 11.კალიარი | 25 | 8 | 8 | 9 | 41-40 | 32 |
| 12.სასუოლო | 24 | 8 | 5 | 11 | 38-39 | 29 |
| 13.ფიორენტინა | 25 | 7 | 8 | 10 | 32-36 | 29 |
| 14.ტორინო | 25 | 8 | 3 | 14 | 28-45 | 27 |
| 15.უდინეზე | 25 | 7 | 6 | 12 | 21-37 | 27 |
| 16.ლეჩე | 26 | 6 | 7 | 13 | 34-56 | 25 |
| 17.სამპდორია | 24 | 6 | 5 | 13 | 25-43 | 23 |
| 18.ჯენოა | 26 | 5 | 7 | 14 | 30-48 | 22 |
| 19.ბრეშა | 24 | 4 | 4 | 16 | 21-44 | 16 |
| 20.სპალი | 25 | 4 | 3 | 18 | 19-44 | 15 |

**იტალია. სერია ბ**

პესკარა-ასკოლი ............................ 2:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ნანტი-ლილი .................................. 0:1
ბორდო-ნიცა .................................. 1:1
ლიონი-სტ.ეტიენი .......................... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 27 | 23 | 2 | 3 | 75-24 | 70 |
| 2.მარსელი | 27 | 16 | 7 | 4 | 39-27 | 55 |
| 3.რენი | 27 | 14 | 5 | 8 | 33-24 | 47 |
| 4.ლილი | 27 | 14 | 4 | 9 | 34-27 | 46 |
| 5.ლიონი | 27 | 11 | 7 | 9 | 42-26 | 40 |
| 6.მონპელიე | 27 | 11 | 7 | 9 | 35-29 | 40 |
| 7.მონაკო | 27 | 11 | 7 | 9 | 43-42 | 40 |
| 8.რეიმსი | 27 | 9 | 11 | 7 | 25-21 | 38 |
| 9.ნიცა | 27 | 10 | 8 | 9 | 39-37 | 38 |
| 10.სტრასბური | 27 | 11 | 5 | 11 | 32-32 | 38 |
| 11.ნანტი | 27 | 11 | 4 | 12 | 28-29 | 37 |
| 12.ბორდო | 27 | 9 | 9 | 9 | 39-33 | 36 |
| 13.ბრესტი | 27 | 8 | 10 | 9 | 34-36 | 36 |
| 14.ანჟე | 27 | 10 | 6 | 11 | 26-33 | 36 |
| 15.მეცი | 27 | 7 | 10 | 10 | 25-34 | 31 |
| 16.სტ.ეტიენი | 27 | 8 | 5 | 14 | 28-44 | 29 |
| 17.ნიმი | 27 | 7 | 6 | 14 | 28-42 | 27 |
| 18.დიჟონი | 27 | 6 | 9 | 12 | 24-36 | 26 |
| 19.ამიენი | 27 | 4 | 10 | 13 | 29-48 | 22 |
| 20.ტულუზა | 27 | 3 | 4 | 20 | 21-56 | 13 |

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

ვალვაიკი-უტრეხტი ........................ 2:1
პსვ-ფეინოორდი ............................. 1:1
სპარტა-ემენი ................................. 5:1
აიაქსი-ალკმაარი ........................... 0:2

**პორტუგალია. პრემიერ ლიგა**

ავიში-ფერეირა .............................. 1:3
მარიტიმუ-ბრაგა ........................... 1:2
გიმარაეში-ტონდელა ...................... 2:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ტამბოვი-რუბინი ........................... 0:0
კრასნოდარი-უფა .......................... 2:0
სოჭი-არსენალი ............................. 1:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ტიროლი-ადმირა ........................... 1:1
ლინცერი-ჰარტბერგი .................... 5:1
რაპიდი-მატერსბურგი ................... 3:1
სტ.პოლენი-ვოლფსბერგერი .......... 0:4
შტურმი-აუსტრია .......................... 1:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

გენკი-ბრიუგე ................................ 1:2
შარლერუა-სტანდარდი ................ 2:0
სერკლი-გენტი ............................... 1:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

არისი-ატრომიტოსი ...................... 1:2
ქსანთი-პაოკი ................................ 1:1
ლარისა-ასტერასი ........................ 3:0
ოლიმპიაკოსი-პანეთოლიკოსი ....... 2:0
ოფი-ლამია ................................... 3:0
პანათინაიკოსი-ვოლოსი .............. 4:1
პანიონიოსი-აეკი .......................... 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

დენიზლი-მალათია ........................ 2:0
ანკარაგიუჯიუ-სივასი .................. 0:3
გალათასარაი-გენჩლერი ............... 3:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

სლოვაცკო-სლავია ........................ 2:0
ბოჰემიანსი .............. 1905-კარვინა 0:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

კორონა-ლეხია .............................. 1:2
არკა-ლოძი .................................... 1:1
ზაგლებიე-სლასკი ........................ 3:1

**დანია. სუპერლიგა**

ჰორსენსი-რანდერსი ..................... 1:2
ოდენსე-სილკებორგი ..................... 1:1
ბრონდბიუ-ლუნგბიუ ..................... 1:0
კოპენჰაგენი-ოლბორგი .................. 3:2

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ხახვით, ძმრითა და პილპილით შეზავებული სამწვადე ხორცი; 2. აღმოსავლური ტკბილეული; 3. ქალაქი ბელგიაში, სადაც განთავსებულია ევროკავშირის შტაბ-ბინა; 4. დამატებითი ჯილდო, პრემია; 7. ალ.ყაზბეგის მოთხრობა; 9. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 12. მოთხოვნა, რომელსაც თან ახლავს მუქარა; 14. ღვინის მწარმოებელი ქართული ფირმა; 15. ურუგვაის ნაკრებისა და „ბარსელონას" ფეხბურთელი; 17. მონასტერი ჯავახეთში; 20. ბალჩეული ხილი.

**თარაზულად:** 5. აეროპორტი მადრიდში; 6. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 8. სიახლის შემოტანა რაიმე საქმეში; 10. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 11. ერთი პროფესიის ხელოსანთა გაერთიანება ძველად საქართველოში; 13. გურამ ფანჯიკიძის რომანი; 16. ქართველი ტელეჟურნალისტი ქალი; 18. სუბტროპიკული ხილი; 19. ერისთავის პიესა; 21. სტადიონი ლონდონში; 22. თბილისელი სახალხო მკურნალი, დასტაქარი; 23. ორადგილიანი ველოსიპედი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. პფენიგი; 5. ტემპი; 7. გურმანი; 9. ქარაგმა; 10. ალიგოტე; 13. ზვარაკი; 14. ანანკე; 15. სენა; 19. ავაზაკი; 20. მონოტიპი; 21. კავენდიში; 22. ვინილი.

**შვეულად:** 1. პუნქტი; 2. ნისანი; 3. პულოვერი; 4. ანალოე; 6. პათეტიკა; 8. ემბაზი; 11. ენდშპილი; 12. სერვისი; 16. საბზა; 17. კორტი; 18. ლუქსი.

## სამგლოვიარო განცხადებები

სამშობიარო სახლი და პედიატრიული საავადმყოფო „იმედის კლინიკა" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ექიმი

**დავით სუხიაშვილი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სამშობიარო სახლი და პედიატრიული საავადმყოფო „იმედის კლინიკა" თანაუგრძნობს ექიმ მეან-გინეკოლოგს მაია სუხიაშვილს ძმის

**დავით სუხიაშვილის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


3 მარტი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7905

ევრო — 3.0782

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5975

100 რუსული რუბლი — 4.1597

## ამინდის პროგნოზი 3 მარტისთვის








## 3 მარტიდან

ვასილ ბარნოვი

**ტრფობა წამებული**

საქართველოს ისტორია ქართულ ლიტერატურაში

**ტომი I**

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**


## მწერალი გურამ გეგეშიძე გარდაიცვალა



მწერალი გურამ გეგეშიძე 85 წლის ასაკში გარდაიცვალა. ინფორმაცია მწერალმა მალხაზ ხარბედიამ გაავრცელა:

– გურამ გეგეშიძე წავიდა. კიდევ ერთი რომანის ადამიანი. რომანები წერეთ. სხვა დანარჩენი დროის კარგვაა. ეცადეთ, კარგი რომანები წეროთ, ნუ ახალტურებთ. მოწამლული რომანები წერეთ.

გურამ გეგეშიძე ქართულ ლიტერატურაში გურამ რჩეულიშვილთან ერთად გამოჩნდა. მისი პირველი ნაწარმოები იყო „სანამ ერთად ვართ". მწერალს ერთგული მკითხველი რომანების დიდოსტატს უწოდებდა. გურამ გეგეშიძის რომანი „ხმა მღაღადებლისა" მისი შემოქმედების სავიზიტო ბარათად იქცა.

## ფოთის თეატრში საპრემიერო წარმოდგენა აღარ გაიმართება

ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში დაგეგმილი საპრემიერო სპექტაკლი აღარ გაიმართება. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა რამაზ იოსელიანმა და თეატრის დირექტორმა თენგიზ ხუხიამ გაითვალისწინეს ქვეყანაში შექმნილი ვითარება და სპექტაკლები გადადეს.

მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების და კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, ფოთის თეატრმა გადადო ყველა ჩვენება და დაგეგმილი საპრემიერო წარმოდგენა.

– თეატრის ადმინისტრაცია ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს მუშაობას. გისურვებთ ჯანმრთელობასა და სიმშვიდეს, – ნათქვამია ფოთის თეატრის ოფიციალურ განცხადებაში.

## ქართველი მოდელები მსოფლიო მოდის ეპიცენტრში

ქართველი მოდელები ლიკა რიგვავა, თათია ახალაია, მატილდა გვარლიანი და ანა გავვა მსოფლიო მოდის ეპიცენტრში აღმოჩნდნენ. ქართველმა ლამაზმანებმა მონაწილეობა მიიღეს უცხოელი დიზაინერების კოლექციების ჩვენებებში. თბილისის მერსედეს-ბენც მოდის კვირეულის ფავორიტმა გოგონებმა ანა გავვამ და ლიკა რიგვავამ გუჩის ჩვენებაში მიიღეს მონაწილეობა. ანასთვის გუჩიზე გამოსვლა სადებიუტო იყო. იგი წინა სეზონზე ბალენსიაგას ჩვენებაზე გამოვიდა. რაც შეეხება თათია ახალაიას და მატილდა გვარლიანს, მათ დოლჩე და გაბანას უახლესი კოლექციის ჩვენებაში მიიღეს მონაწილეობა. მატილდასთვის ეს პირველი შოუ აღმოჩნდა და მაღალი მოდის პოდიუმზე მისი დებიუტი წარმატებით შედგა.



**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 3 მარტისთვის



**ვერძი** – მეგობრებთან ურთიერთობისას კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ. წინააღმდეგ შემთხვევაში კონფლიქტი არ აგცდებათ. **კურო** – დღის დევიზია სულიერი წონასწორობა, სიმშვიდე და ერთგულება. რისკი გაუმართლებელია. **ტყუპები** – ერიდეთ კონფლიქტს პირად ცხოვრებაში. დღეს დამთმობი და დიდსულოვანი უნდა იყოთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით და, საჭიროების შემთხვევაში, ექიმთან ვიზიტი არ გადადოთ. **კირჩხიბი** – შემოქმედებითი აღმავლობის დღეა. რეალობას რომანტიკულად აღიქვამთ. წარმატება თავდაჯერებულობას შეგმატებთ. **ლომი** – ის საქმე, რომელიც ადრე რთული გეჩვენებოდათ, დღეს ძალზე გაგიიოლდებათ. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **ქალწული** – სასიცოცხლო პოტენციალი გიქვეითდებათ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. მიიღეთ ბევრი ხილი და ბოსტნეული. **სასწორი** – საკუთარი პრინციპები მტკიცედ დაიცავით. თქვენი ავტორიტეტის შელახვის უფლება არავის მისცეთ. ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. **ღრიანკალი** – ბიზნესის სფეროში მომუშავეებისთვის იღბლიანი პერიოდია. სწორი გადაწყვეტილების მიღებაში თანამოაზრეები დაგეხმარებიან. **მშვილდოსანი** – ფულს უაზროდ ნუ გაფლანგავთ. არასაჭირო შენაძენისგან თავი შეიკავეთ. იყავით მიზანდასახული და დამოუკიდებელი. **თხის რქა** – მეგობრებთან ურთიერთობისას კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ. წინააღმდეგ შემთხვევაში კონფლიქტს ელოდეთ. **მერწყული** – თამამად და პრინციპულად იმოქმედეთ. არაკეთილისმსურველებს მხოლოდ ასე განაიარაღებთ. **თევზები** – სასიყვარულო ურთიერთობებში გიმართლებთ. მატერიალური მდგომარეობა არასახარბიელოა. საყიდლებზე წასვლა, ფულის დაბანდება სამომავლოდ გადადეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– დღეს დავინახე, თუ როგორ დაეხმარა ქუჩის მეორე მხარეს გადასვლაში მოხუცი ქალი ბიჭს, რომელიც სმარტფონით თამაშობდა.

●●●

ქალიშვილი დედას ეუბნება:

– დედა, შენ და მამა სკოლაში ხართ დაბარებულები.

– რა მოხდა?

– შესვენებაზე ვკოცნაობდი.

– ეს რა, აკრძალულია?

– ბიოლოგიის მასწავლებელთან.

– ღმერთო ჩემო! მე და მამაშენს ღამეები არ გვძინავს, მუხლჩაუხრელად ვშრომობთ იმისთვის, რომ შენ ყველაფერი კარგად გქონდეს ცხოვრებაში, შენ კი დანას გვირტყამ ზურგში. იმაზე არ დაფიქრებულხარ შვილო, თუ რა პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს ცხოვრებაში ბიოლოგიის მასწავლებელს?!

●●●

რუსს ეკითხებიან:

– როგორი ადგილი უკავია ალკოჰოლს შენ ცხოვრებაში?

– ერთადერთი.

●●●

სასტუმროში ესპანელი ტურისტი მამაკაცი რუსი ტურისტი ქალის ნომრის კარზე აკაკუნებს. ქალი კითხულობს:

– ვინ არის?

– ხუან კარლოს ემანუელ და სილვა.

– შემოდით, მხოლოდ სათითაოდ.

●●●

ჰოლმსი ვატსონს ეუბნება:

– ვატსონ, ვხედავ დღეს შემთხვევით განავალში ჩაგიდგამთ ფეხი.

– ამჯერად თქვენმა დედუქციურმა მეთოდმა დაგაღალატათ, ჰოლმს!

– როგორ?

– შემთხვევით კი არა, სპეციალურად ჩავდგი ფეხი.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, ახლა მე შენ დიდ ბედნიერებას მოგანიჭებ!

– მართლა? ძალიან დამაკლდები!

●●●

ქალი კაცს ეუბნება:

– შენ რა კაცი ხარ, ლურსმანი ვერ ჩაგიჭედებია კედელში!

– და შენ გგონია, რომ მაჩოს სახლის მთელი კედელი ლურსმნებით აქვს მოჭედილი?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პიკე: „ესპანეთის ჩემპიონატის მოგება ისევ შეგვიძლია"



რეალი-ბარსელონას შეხვედრა სანტიაგო ბერნაბეუზე რეალის გამარჯვებით დასრულდა 2:0 და მადრიდელები ისევ სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცნენ.

მიუხედავად ამისა, ბარსელონას ცენტრალური მცველი ჟერარდ პიკე დარწმუნებულია, რომ მის გუნდს ისევ აქვს ჩემპიონობის შანსები:

– სამწუხაროა, რომ პრინციპულ მეტოქესთან დავმარცხდით, თან პირველ ტაიმში უკეთ ვითამაშეთ, მაგრამ მეორე ნახევარში მათ მოუმატეს და ჩვენ ამისთვის მზად არ აღმოვჩნდით. წინ კიდევ ბევრი თამაშია და ჩემპიონობის შანსი ნამდვილად არ დაგვიკარგავს.

## ზიდანი: „ბარსელონასთან მოგება შესანიშნავი განცდაა"



მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა ბარსელონასთან მოგების შემდეგ განაცხადა, რომ მისმა გუნდმა ეს გამარჯვება დაიმსახურა, რადგან მეორე ტაიმი მათ მაღალ დონეზე ჩაატარეს.

ზიდანმა ასევე აღნიშნა, რომ რეალს შეუძლია სტაბილურად მაღალ დონეზე თამაში:

– პირველ ტაიმში ბარსელონამ ბევრი პრობლემა შეგვიქმნა და ჩვენ გვიჭირდა ჩვენი თამაშის პოვნა, მაგრამ შეხვედრის მეორე ნახევარში ზუსტად ის რეალი ვიხილე, რომლის ხილვაც მსურდა. თუ სტაბილურად გავაგრძელებთ თამაშს, აუცილებლად მოვიგებთ ტიტულებს.

## სტივენ ჯერარდი: „ლივერპულმა წაგებით წნეხი მოიშორა"



ლივერპულის ლეგენდამ სტივენ ჯერარდმა თავის ყოფილ გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ უოტფორდთან წაგება დროული იყო, რადგან ლივერპული ამდენი მოგებული მატჩის შემდეგ წნეხში იმყოფებოდა.

ჯერარდის აზრით, ლივერპულის ჩემპიონობას არაფერი უდგას წინ:

– უოტფორდთან თამაში უბრალოდ გამონაკლისი იყო და ლივერპულმა ამ წაგებით წნეხი მოიშორა. მათ საკმაოდ დიდი უპირატესობა აქვთ სატურნირო ცხრილში, ამიტომ ლივერპული მაინც ჩემპიონი გახდება.

ლივერპულმა სტუმრად უოტფორდთან 0:3 წააგო და ეს მისი პირველი მარცხი იყო პრემიერლიგაში 44 მატჩის მანძილზე.

## აზარი აშშ-ში იმკურნალებს



მადრიდის რეალის ბელგიელი ნახევარმცველი ედენ აზარი ამერიკის შეერთებულ შტატებში იმკურნალებს და, შესაძლოა, მან ოპერაციაც გაიკეთოს, თუმცა ამის შესახებ ინფორმაცია დადასტურებული არ არის.

აზარმა საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო და ის, სავარაუდოდ, მხოლოდ მაისში შეძლებს დაბრუნებას, რაც იმას ნიშნავს, რომ მისთვის სეზონი თითქმის დასრულებულია.

ედენ აზარი რეალში გასულ ზაფხულს გადავიდა და მისთვის პირველი სეზონი ტრავმების გამო რთულად მიმდინარეობს.

## ჯეიდენ სანჩო მანჩესტერ იუნაიტედს მიუახლოვდა



დორტმუნდის ბორუსიის ინგლისელი შემტევი ჯეიდენ სანჩო შესაძლოა სამშობლოში დაბრუნდეს. მისი ყიდვა მანჩესტერ იუნაიტედს სურს და თვითონ სანჩოც უკვე შეუთანხმდა იუნაიტედს კონტრაქტზე. საქმე გუნდებზეა და თუ ისინი მიაღწევენ შეთანხმებას, ზაფხულში სანჩო მანჩესტერის ფეხბურთელი გახდება.

მანჩესტერელები მზად არიან, მის ტრანსფერში 90 მილიონი გადაიხადონ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 2. უსწავლელი, უვიცი ადამიანი; 3. გულისნადები, საიდუმლო; 4. ნივთიერება, რომელიც დენს არ ატარებს; 5. კვირა დღის ქართული სახელწოდება; 6. ბეტონიტური თიხის საბადო გურიაში; 8. სახალხო დღესასწაული ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 11. მსხვერპლად შეწირული რამ; 14. თირკმლისზედა ჯირკვლის გამომუშავებული ჰორმონი; 15. კაფე-ბარი საცეკვაო მოედნით; 16. ხელოვნურად მიღებული რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 17. ტაივანის დედაქალაქი; 19. იტალიური რესტორანი; 21. ლეშისმჭამელი აფრიკული ცხოველი; 22. ტყის ხილი.

**თარაზულად:** 1. მრავალსართულიანი კარსტული მღვიმე ტყიბულის რაიონში; 5. მუსლიმთა წმინდა ქალაქი არაბეთის ნახევარკუნძულზე; 7. პატარა დასახლებული პუნქტი; 9. სისხლის შემსწავლელი მეცნიერება; 10. დაბა ბოლნისის რაიონში; 12. უფლისწულის ტიტული ესპანეთში; 13. ტურისტთა კაპიუშონიანი ქურთუკი; 16. ქალაქ ფოთის პირველი მერი; 17. პარაზიტი – მკბენარა მწერი; 18. პოპულარული ბალ-რესტორანი ძველ თბილისში; 20. ჩინური ნავთობკომპანია; 22. ნაქსოვი ფეხსამოსი; 23. მონასტერი სტეფანწმინდის რაიონში; 24. სტადიონი ლონდონში; 25. დაპყრობილი ტერიტორიის მონღოლი მმართველი ძველად.



შეადგინა თ.კოპალეიშვილმა